**ელიზბარ ჯაველიძე: „ვისაც პროტესტი აქვს, სახლში კი არ უნდა იყოს, უნდა მივიდეს და არ დააბრუნონ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში... ყველას ადგილზე ამოხოცავენ, ადგილზე“**



# ალია

N106/3036/ 11-14 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE



## რა შეზღუდვებს დაუწესებს ევროკავშირი ქართველ მძღოლებს

**გახდება თუ არა ტრასაზე „უკანა ღვედების“ შეკვრა სავალდებულო?**

# ვინ ხელმძღვანელობს არასამთავრობოთა კასტას?

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

## „ამას მალავს ხელისუფლება“

**რა უცნობი მუხლები აღმოაჩინა ლორთქიფანიძემ ასოცირების ხელშეკრულებაში?**



**რატომ იგაჭრებენ არჩევნების დღეს ფასდაკლებით „მაკდონალდსი“, „ვენდისი“, „პსპ“, „ავერსი“, „ჯი-პი-სი“, „გალფი“ და „გისოლი“?**

**რა ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ალექსანდრე ჭიკაიძემ და მისმა გერმანელმა კოლეგამ**

**ედუარდ შევარდნაძის სამებაში გადასვენების გამო ქალაქში მოძრაობა შეიზღუდება**

**საბაგშვო ბაღებში დასარეგისტრირებელი საიტი გაითიშა**

# რატომ ივაჭრებენ არჩევნების დღეს ფასდაკლებით „მაკდონალდსი“, „ვენდისი“, „პსპ“, „ავერსი“, „ჯი-პი-სი“, „გალფი“ და „ვისოლი“?

**12 ივლისს, არჩევნების მეორე ტურის დღეს, მარკირების წარმოდგენის შემთხვევაში, ბიზნესკომპანიები მომხმარებლებს ფასდაკლებას სთავაზობენ.**

შესაბამისი სარეკლამო რგოლები სატელევიზიო სივრცეში უკვე ტრიალებს. მასში ნათქვამია, რომ „ბიზნესკომპანიები ერთიანდებიან საერთო მიზნის გარშემო“ და ამომრჩევლებს მოუწოდებენ გამოცხადდნენ მეორე ტურზე, გაიარონ მარკირება, დღის ბოლომდე წარადგინონ მარკირება სასურველ სავაჭრო ქსელებში და სპეციალური ფასდაკლებით ისარგებლონ. კერძოდ, ისინი მიიღებენ 20%-იანი ფასდაკლებას „მაკდონალდსსა“ და „ვენდისში“, 22%-იანი ფასდაკლებას აფთიაქებში – **PSP**, „ავერსსა“ და „ჯი-პი-სი“-ში, 15%-იანი ფასდაკლება „გუდვილსა“ და „სმარტში“, ასევე 5-თეთრიანი ფასდაკლება „გალფსა“ და „ვისოლში“.

აქციასთან რაიმე კავშირს უარყოფს საქართველოს ბიზნესასოციაცია: სამოქალაქო აქტივობის წამახალისებელი ფასდაკლებების აქცია შესაძლოა ამომრჩევლებისთვის საინტერესო აღმოჩნდეს, თუმცა ამ იდეის ავტორი ან ინიციატორი არ ვართო.






გაჩნდა ეჭვი, რომ ამ აქციის ორგანიზატორი ცესკოა. ეს „მაკდონალდსი საქართველოს“ დირექტორმა თენგიზ კაპანაძემ „კომერსანტთან“ საუბრისას დაადასტურა – საარჩევნო ფასდაკლების გამოცხადების ინიციატივა ცესკოდან წამოვიდაო. როგორც „მაკდონალდსის“ დირექტორი ამბობს, ეს კომპანიისთვის წმინდა სოციალური პროექტია, ისეთი, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების დასაქმება. „ნებისმიერმა ნორმალურმა კომპანიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთ აქციაში, რომელიც საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებით ტარდება“, – განაცხადა კაპანაძემ.









თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერი ეკა აზარაშვილი ამას კატეგორიულად უარყოფს: „მე პირველად ვნახე ეს კლიპი და საერთოდ არ ვიცი, ცესკოდან როგორ უნდა წასულიყო ეს ინფორმაცია. ამას აუცილებლად გავარკვევ. მე გეტყვით, რომ ცესკო აღნიშნულს უარყოფს, რადგან მე არ ვფლობ მსგავს ინფორმაციას“.

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი გუგავას განცხადებით:

„ამ ბიზნესკომპანიების მესვეურებს, რომლებმაც ქონება, კაპიტალი, ბიზნესი ქვეყნისა და ხალხის ძარცვის ხარჯზე შექმნეს, ყველა ეპოქაში იყვნენ ხელისუფლებაში ან აფინანსებდნენ მათ, არასდროს გახსენებიათ გაჭირვებული მოსახლეობა, პირიქით, მათი ყოველდღიური დაყაჩაღებით დააგროვეს მილიონები. დღეს კი, როდესაც ხელისუფლებას გაუჭირდა საარჩევნოდ, იმის გამო რომ ამომრჩევლის უმრავლესობა არ აპირებს არჩევნებზე მისვლასა და ამ ფარსში მონაწილეობას, მთავრობის დავალებით გადაწყვიტეს ამომრჩევლის პირდაპირი მოსყიდვა, რათა ამ გზით მიიყვანონ ხალხი საარჩევნო უბნებზე და გაათრიონ მილიარდერის უსახური კანდიდატი“.

აქციას გამოეხმაურნენ ექსპერტებიც. არჩილ გამზარდიას განცხადებით: „პირველ რიგში, უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი რამ ცალმხრივი პროცესი ვერ იქნება და ეს სახელმწიფო სექტორთან იქნება შეთანხმებული. მეორე საკითხია, რამდენად შეიძლება შეფასდეს სახელმწიფო სექტორის მხრიდან მსგავსი აქტივობა, ვფიქრობ, სახელმწიფო სექტორი მოქალაქეში მოქალაქეობრივ თვითშეგნებას უნდა ზრდიდეს და საინფორმაციო კამპანიებიც შესაბამისად უნდა იყოს აგებული, სახელმწიფოს მხრიდან იმის მცდელობა, რომ მოქალაქე „შეღავათიანი ფასდაკლებებით“ შეიტყუოს, ერთი მხრივ, უკადრისი საქციელია და მეორე მხრივ, არც ისე სახელმწიფოებრივი საქციელია.

ჩანს, დღევანდელ ხელისუფლებასაც ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვს საკუთარ მოსახლეობაზე და ცდილობს, იაფფასიანი „ტრიუკებით“ მოხიბლოს, რათა აქტივობის მაჩვენებელი აამაღლოს, ეს აქტივობის გაზრდის ზედმეტად ხელოვნური საშუალებაა. პირადად, მე, როგორც მოქალაქე ჩემდამი ამგვარი დამოკიდებულებით უფრო შეურაცხყოფილი ვარ, ვიდრე მოტივაციამომატებული. მეორე მხრივ, ეს ბიზნესსექტორის მიმართაც უდიერი დამოკიდებულებაა, საიდან შეირჩა ეს კომპანიები, ან რა იყო შერჩევის პრინციპი, ესეც გაურკვეველია. იმედი მაქვს, საზოგადოება ამგვარ ხელოვნურ და ცოტა არ იყოს, მახინჯ მახეებს ადვილად არ წამოეგება“.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ასოცირების დღის წესრიგი ოკუპირებული ტერიტორიის შესახებ კანონის გადახედვას გვავალდებულებს



ასოცირების დღის წესრიგში ჩამოთვლილია პრიორიტეტების სია, რომლებიც ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, უახლოესი 3 წლის განმავლობაში (2014-2016) უნდა განხორციელდეს. დოკუმენტში საუბარია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, რომელთა შორისაა: 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების სრულად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ძალისხმევის გაგრძელება; ჟენევის დისკუსიებში კონსტრუქციული მონაწილეობის შენარჩუნება; ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის შენარჩუნება კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით შეთანხმებულ ფორმატებში, მათ შორის, კონსულტაციების გამართვა, საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესში შესაბამისად ჩასართავად გზების მოძიების მიზნით; ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა ვაჭრობის, მოგზაურობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, კანონმდებლობის გადახედვა, როგორიცაა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი; ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების მიმართულებით მუშაობა; საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგის, პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებიდან გამომდინარე სარგებლისა და შესაძლებლობების ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა მცხოვრები მოსახლეობისთვის გაზიარების მიზნით შესაბამისი გზების მოძიება; კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებში, ხალხთა შორის კონტაქტების გაძლიერების მიზნით ზომების გატარება.

აღსანიშნავია, რომ „ოკუპაციის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი პარლამენტში ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში იყო ინიცირებული, თუმცა ოპოზიციისა და საზოგადოების ნაწილში მწვავე პროტესტი გამოიწვია. კანონპროექტის მიღების პროცედურა, პირველი მოსმენის შემდეგ, შეჩერდა. ცვლილებების თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად, ადმინისტრაციული წესით განისაზღვრება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პრეზიდენტ მარგველაშვილს კიდევ ერთი უფლება ჩამოართვეს



საქართველოს პრეზიდენტს სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს უფროსის დანიშვნის უფლება აღარ აქვს. პრეზიდენტს კიდევ ერთი უფლება მას შემდეგ ჩამოერთვა, რაც ქვეყნის მთავრობამ, შესაბამისი დადგენილებით ახალი სააგენტო შეიქმნა, რომელიც დღემდე არსებული მსგავსი სამსახურის უფლებამონაცვლეა. შეიცვალა სააგენტოს უფროსის დანიშვნის წესიც. სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს უფროსს პრეზიდენტი ნიშნავდა და ათავისუფლებდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის წარდგინებით, ახლა კი ამ თანამდებობაზე პიროვნებას სდსს-ის ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით დანიშნავს. სააგენტოს ფუნქციაა, უზრუნველყოს უმაღლესი თანამდებობის პირებისა და სახელისუფლებო სტრუქტურების დახურული კავშირგაბმულობა. სააგენტოზე კონტროლს სდსს-ი განახორციელებს. სააგენტოს, როგორც აქამდე, ახლაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცულობა ევალება. (პირველი რადიო)

**საააკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ სააკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ სააკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# ელიზბარ ჯაველიძე: „ვისაც პროტესტი აქვს, სახლში კი არ უნდა იყოს, უნდა მივიდეს და არ დააბრუნონ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში... ყველას ადგილზე ამოხოცავენ, ადგილზე“



„ალიას“ აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე** ესაუბრა:

**— ბატონო ელიზბარ, მეუფე იაკობის განცხადების გამო არასამთავრობოებმა ცესკოს რომ მიმართეს, რეაგირება მოახდინეთო, საზოგადოების ნაწილმა ეს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპად მიიჩნია. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ დიდი ხანია, დაწყებულია, ბრძოლის ახალი ეტაპი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით დაიწყო, ეს ეტაპი გრძელდება და არავის აქვს უფლება, ვისაც საქართველოს ისტორია წაუკითხავს, აუკრძალოს ეკლესიის მსახურს, მეუფეებს თავიანთი პოზიციის გამოხატვა. ჯერ კიდევ ილია ამბობდა, რომ ქართველი კაცი როცა მართლმადიდებლობას იცავდა, იცავდა ეროვნებასო. ამათი „რაკუნი“ იმის შესახებ, რომ თურმე, შესაძლებელია, გაიმართოს მეუფის სასამართლო, მალე ამას მათ მიუბრუნებს ქართველი ხალხი.

**— არასდროს გეხატებოდათ გულზე არასამთავრობოები, მაგრამ ფაქტია, რომ პროცესებში ერთ-ერთი მთავარი მონაწილე სწორედ ისინი არიან და თვლიან, რომ არც ეკლესია, არც პატრიარქი ტაბუირებული თემა არაა.**

– მსოფლიო პოლიტიკაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ დღეს ერის ექსპანსია ხდება არა მახვილითა და ცეცხლით, არამედ ეკონომიკით, ფულითა და ცნობიერების შტურმით. ეს იმას ნიშნავს, რომ უსუფოვი. მეორე არის „გამჭვირვალე“ არასამთავრობო გიგაურის თავკაცობით. მისი განცხადებით განხორციელდა უდიდესი მტრობა ქართული მიწების გაყიდვის შეჩერების გამო. მეტი მოღალატეობა ქვეყნის წინაშე გაგონილა? მესამე გახლავთ ლომჯარია, რომელსაც თავად არ ესმის არაფერი და ეკრანიდან ჭკუას გვასწავლის. ეს ხალხი დღეს გვიქადაგებენ რელიგიისა



„კანონი კი მიიღეს, მაგრამ ცოტა ხანში, დაიმახსოვრეთ და მაპატიეთ უცენზურობისთვის, მაგ კანონს უკან შეტენის ქართველი ხალხი მის მიმღებებს, მერე აღარ გავა, მე არ მომიწერია ხელიო. ეს იყო პირველი ღალატი, რომელიც ქართველი ერის წინააღმდეგ ჩაიდინეს“

მთელ ამერიკასა და ინგლისში შეიქმნა „ტვინის გამორეცხვის“ ინსტიტუტი. ეს არის უზარმაზარი ფინანსური მანქანა, ამაში ჩართულნი არიან ჩვენი ტელევიზიები და არასამთავრობოები. ამერიკის დადგენილებაც არსებობს ამაზე, რომ როგორმე შესუსტდეს ქვეყნის ხელისუფლება და გაძლიერდნენ არასამთავრობოები. დღეს ვისაც არ ეზარება, საქართველოში ყველამ არასამთავრობო გახსნა, 2 000-ზე მეტია შექმნილი. მათგან მე გამოვყოფ სამს: საია, რომელიც არის სოროსის დაფუძნებული და რომლის სულიერი დედა თინა ხიდაშელია და სულიერი მამა და იურისპრუდენციის დარგში, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს არ აქვს წარმოდგენა, რას ლაპარაკობენ. რაც ენაზე მოადგებათ, იმას ამბობენ, ამაში უხდიან ამერიკელები. ესენი არიან გავლენის აგენტებზე უარესები, ფულის აგენტები, ასეთი აგენტები დასაჭერები არიან. ამ ხალხმა, გარდა იმისა, რომ „ლგბტ“ პირები თავს მოგვახვიეს, პირდაპირ გამოუცხადეს ომი ქართულ ეკლესიას. რა ენაღვლებათ, ეგენი ურწმუნო ხალხი არიან. ღმერთი კი არა, თავისი მშობელი არ იციან, ვინ არიან, მე მგონი...

**— ეკლესიისა და საზოგადოების გათიშულობის მცდელობას აქვს ადგილიო, ამაზე ბევრი საუბრობს. რას მოიტანს ეს ტენდენცია?**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ედუარდ შევარდნაძის სამებაში გადასვენების გამო ქალაქში მოძრაობა შეიზღუდება



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სამების საკათედრო ტაძარში გადასვენებასთან დაკავშირებით ხვალ დედაქალაქში მოძრაობა შეიზღუდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს:

„საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის სამების საკათედრო ტაძარში გადასვენების ცერემონიასთან დაკავშირებით, 11 ივლისს, 12:00 საათიდან, სატრანსპორტო საშუალებებისთვის მოძრაობა რამდენიმე საათით შეიზღუდება შემდეგი მიმართულებებით: კრწანისისა და გორგასლის ქუჩები, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბარათაშვილის ხიდი და აღმართი, ავლაბრის მოედანი, მესხიშვილის ქუჩა სამების ტაძრამდე“, – აღნიშნულია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, ედუარდ შევარდნაძის გამოსვენების დღეს, 13 ივლისს, 09:00 საათიდან 16:00 საათამდე მესხიშვილის ქუჩა სრულად ჩაიკეტება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბრალდების მხარე უგულავას სიდედრის კუთვნილი ბინის სახელმწიფოსთვის გადაცემას ითხოვს



საქალაქო სასამართლომ „თბილისის განვითარების ფონდთან“ დაკავშირებით გიგი უგულავასთვის წარდგენილ ბრალზე იმსჯელა.

საქალაქო სასამართლოს ამ ეტაპზე გადაწყვეტილება არ მიუღია, რადგან დაცვის მხარემ ამ შუამდგომლობის განსახილველად რამდენიმედღიანი ვადა მოითხოვა. შემდეგი პროცესი 14 ივლისს ჩაინიშნა და სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება შუამდგომლობას პროკურატურა აცხადებს, რომ „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმესთან დაკავშირებით, უგულავას აღმკვეთი ღონისძიება გირაო პატიმრობით უნდა შეეცვალოს, რადგან მან გირაოს პირობები დაარღვია, ასევე ბრალდება ითხოვს, რომ უგულავას სიდედრის კუთვნილი ბინა სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცეს.

„მე ვაპირებ ბრძოლას, გინდა 3-ჯერ შემიფარდეთ და გინდა 6-ჯერ, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, თქვენ გახსენით ის ცეცხლი, რომელშიც თვითონ დაიწვებით“, – აღნიშნა უგულავამ. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

– ამერიკელმა იდეოლოგებმა გამოაცხადეს, რომ დაამარცხეს საბჭოთა კავშირი, ახლა დარჩათ მართლმადიდებლობა. ეკლესია დღეს არის ქართული ვინაობის ბურჯი, როგორც კი ეს გამოგვეცლება, ქართველი ერი აღარ იქნება. ეს მიწის კანონი და ანტიდისკრიმინაციული კანონიც შემთხვევითი არაა. ქართველ გლეხს, ისედაც მცირემიწიანს, რომ აიძულებ, მიწა გაყიდოს, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელს სპობ. მერე მიტევ სულიერად მას მერე, რაც ფიზიკურად მართმევ ყველაფერს. ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას, იქაც არის ეს ხაზი გამოკვეთილი, რომ თურმე ისე უნდა აღვზარდოთ შვილები ოჯახში, 14 წლის ასაკიდან უნდა გადაწყვიტოს, რა სქესის არის. შვილი უნდა აღიქვამდეს ერთსქესიან ქორწინებას და ეს ავადმყოფობა ნორმალურად აღიქვას. ვერასდროს ეღირსებიან ეგ უპატრონოები, რომ ჩემი და ჭეშმარიტი ქართველის ოჯახში აზრდილი ადამიანი ამას შეეგუოს. პატრიარქმა სწორად ბრძანა, რომ არც ერთი ჭეშმარიტი ადამიანი ამ კანონს არ მიიღებს.

**— ფაქტია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი მივიღეთ და აღარავინ საუბრობს მასზე უკვე...**

– კანონი კი მიიღეს, მაგრამ ცოტა ხანში, დაიმახსოვრეთ და მაპატიეთ უცენზურობისთვის, მაგ კანონს უკან შეტენის ქართველი ხალხი მის მიმღებებს, მერე აღარ გავა, მე არ მომიწერია ხელიო. ეს იყო პირველი ღალატი, რომელიც ქართველი ერის წინააღმდეგ ჩაიდინეს. ამ კანონის მიღებით თავისი რენომე აწიეს მაღლა და თავის დაიმკვიდრეს, ჩვენზე უპირატესი პირობებით სარგებლობენ. მე თუ დავიწყე მათი გინება და ამას არ მოვიშლი, მეტყვიან, სიძულვილის ენით ლაპარაკობ, მარგინალი ხარო და შეიძლება, გამასახლონ, ხოლო ის, ჩვენი მოძმე, რომელსაც ვერ გაურკვევია, საჯდომი იზიდავს თუ სხვა რამე, სამსახურში თუ უარს ეტყვიან, განაცხადებს, დისკრიმინირებულ ვარ და სამართალი აღადგინეთო. მე და თქვენ რაც არ უნდა ვქნათ, არაფერი გამოგვივა, „მართალი" მოსამართლეები მათ მხარეს დადგებიან. ეს არის მსოფლიო წარღვნა, რომელიც გვიახლოვდება. 10 წლის წინათ რომ მიიღეს კანონებში მსგავსი ჩასწორებები, დიდი ჯანყი იყო, მაგრამ არავინ იცოდა, რომ ამას ერთსქესიანი ქორწინება მოჰყვებოდა, აქეთ მიდის ჩვენი საქმეც. სწორედ ქორწინებამდე მივდივართ, მე 10 წელი ვერ ვიცოცხლებ, მაგრამ საფლავიდან არ მოვასვენებ და ამოვძახებ მაგათ.

**— როგორც ჩანს, 17 მაისის მონაწილე სასულიერო პირები რომ ვერ დააპატიმრეს, მეუფე იაკობის ქადაგება დაიხვიეს ხელზე და ამით უნდათ, ჯავრი ამოიყარონ. მეუფის დაჯარიმებას ითხოვენ...**

– ეს მხოლოდ სააკაშვილის, მისი კუდების ქმედების შედეგი კი არ არის, ეს არის სისტემა, რომელიც შეიქმნა საქართველოში სხვათა კარნახით. ეს არის აწყობილი ერთპლანეტარული იმპერიის შექმნის არქიტექტორების მიერ. ეს სისტემა არის გამჩანაგებელი ქართული ცნობიერების, ზნეობისა და ეროვნული ვინაობის. მათ სურთ აზროვნების სტრუქტურის შეცვლა. ამას შეეწირა ქართული განათლების სისტემა. ბევრს ლაპარაკობდა ამას წინათ ქართული უნივერსიტეტის რექტორი, ეს გავაკეთე, ის გავაკეთეო, არაფერი არ გაუკეთებია მაგას. რეკეტითა და პოლიციით გამოყარეს ჭეშმარიტი მეცნიერები კათედრიდან და არაფერი აღდგენილა. ამბობენ, დემოკრატები ვართ და ასე ხომ ვერ გავყრით, ვინც მუშაობსო. ისინი იყვნენ სისხლის სამართლის დამნაშავეები, მოვიდნენ და გაყარეს ხალხი, ახლა შენ ვერ ყრი? ეს იყო სოროსის მოთხოვნა, ლაბორატორიაში ლაბორანტიც კი ვერ უნდა იყოს განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანი. ეს ხალხი დღეს ისევ ლაღობს უნივერსიტეტში, არაფერი იცვლება. სანამ არ დაინგრევა ეს სისტემა, საქართველოს არაფერი ეშველება.

**— ამ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება? ღარიბაშვილის გარდა აქ სხვა ძალაცაა ხელისუფლებაში და ნაბიჯები იმის მიხედვით იდგმება, ვინ გადასწონის.**

– სულ ვამბობ, თუ ვინმეს იმედი მაქვს, რომ გავიხანგრძლივოთ ეროვნული ყოფიერება, ეს ღარიბაშვილია. ახალგაზრდაა, ნიჭიერი და სულიერი მრწამსით ქართველია, რაც თქვა, უცებ დაუპირისპირეს გადაწყვეტილებები. თქვა, არ დავუშვებ ერთსქესიანთა ქორწინებასო, მოუმზადეს კანონი, თქვა, „ნაციონალების" ლაქლაქს არ დავუშვებო, დასავლეთში ატეხეს ამბავი, დიქტატურული რეჟიმი მყარდებაო.



**„თუ ვინმეს იმედი მაქვს, რომ გავიხანგრძლივოთ ეროვნული ყოფიერება, ეს ღარიბაშვილია. ახალგაზრდაა, ნიჭიერი და სულიერი მრწამსით ქართველია, რაც თქვა, უცებ დაუპირისპირეს გადაწყვეტილებები. თქვა, არ დავუშვებ ერთსქესიანთა ქორწინებასო, მოუმზადეს კანონი, თქვა, „ნაციონალების" ლაქლაქს არ დავუშვებო, დასავლეთში ატეხეს ამბავი, დიქტატურული რეჟიმი მყარდებაო"**

**„ვისაც პროტესტი აქვს, სახლში კი არ უნდა იყოს, უნდა მივიდეს და არ დააბრუნონ „ნაციონალები" ხელისუფლებაში. ახლა ყოფნა-არყოფნის საკითხია და გვინდა, გადარჩენა. ეგენი რომ მობრუნდნენ, ისე კი არ იქნება საქმე, ახლა სასამართლო რომ იხილავს, ვინ დაიჭირონ და ვინ – არა, მერე ყველას ადგილზე ამოხოცავენ, ადგილზე"**

ჯერ კიდევ როდის მივწერე ივანიშვილს, მოღალატე „რესპუბლიკელები" ჩამოიშორე გზიდან, განსხვავება „ნაცებსა" და მათ შორის არ არსებობს-მეთქი. იმათაც ეზიზღებოდათ სამშობლო და ამათაც. თან მსოფლიო ორბიტაზე მოსრიალე მერცხლები ჰგონიათ თავი, მაშინ, როცა ლამურები არიან და არც ქართველებს უყვართ. ვერასდროს მიიღებენ ამ სიყვარულს, მაგრამ ივანიშვილის ხათრით ითმენენ მათ. ვურჩევ ღარიბაშვილს, დროზე ალაგმოს „რესპუბლიკელების" თარეში. ახლა ჩუმად არიან, გაბლანდული კავშირები აქვთ, ელოდებიან დროს. „ოცნებაში" არიან ქართველები, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება.

**— არ შემიძლია, არ გკითხოთ ედუარდ შევარდნაძეზე. მისი ყოფილი მოწინააღმდეგე ბევრი ცნობილი ადამიანი ერიდება მასზე აუგად საუბარს...**

– ეს არის ქრისტიანული გრძნობა, რომ მიცვალებულზე გადავლა არ შეიძლება. წიგნი მაქვს მასზე დაწერილი, 500-გვერდიანი, მთლიანად შევარდნაძეს ეძღვნება, იქ ჩანს, როგორ მოაპრიალა და მოწმინდა საქართველო, რომ მერე ეს ნაძირალები აღმოცენებულიყვნენ, მაგრამ ის მეტი პატიოსნებით გამოირჩეოდა, ვიდრე სააკაშვილი. შევარდნაძის მაქებარი კაცი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მას არასდროს ეკლესია და მეცნიერება არ შეუვიწროებია, ამათ კი ყველანაირ სულიერებას გადაუარეს. ყველა სულიერების მკვებავი წყარო იყო ხელშეუხებელი.

**— ბატონო ელიზბარ, არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, მაგრამ ხალხი ისეთი დათრგუნულია, ალბათ, არც ახლა იქნება აქტივობა მაღალი. მოსახლეობის უმეტესობა ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. „სახალხო კრება" რას აპირებს, 2012 წლის არჩევნების წინ ძალიან აქტიურობდით.**

– სექტემბრისთვის ვიქნებით ჩამოყალიბებული ამ საკითხებზე, გვექნება ძალიან ენერგიული ბრძოლა იმისთვის, რომ მივიდეთ ან ვადამდელ არჩევნებამდე, ან რამე სხვას მივაღწიოთ ამდაგვარს.

**— ვადამდელი არჩევნების აუცილებლობაზე დიდი ხანია საუბრობენ გია გაჩეჩილაძე, შალვა ნათელაშვილი, ჯონდი ბაღათურია, უმრავლესობის წევრები, დავით ლორთქიფანიძე და ჯაჭვლიანი... რას აპირებს „სახალხო კრება", გაერთიანდებით ამ მოთხოვნის გარშემო, თუ ცალკე იმოქმედებთ?**

– ვისთან, როგორ, რა იქნება, ამას დავგეგმავთ. საარჩევნო გარემო და წესები არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ნორმალური არჩევნები ჩატარდეს, ამდენი წელია მესმის გაყალბებასა და საარჩევნო სიებზე. თმებს იწეწავს ახლა გოგორიშვილი და მაჭავარიანი, რომლებსაც ქართველ ხალხს ასწავლეს გაყალბება და ის, მიცვალებულმა როგორ მისცეს ხმა. არ მინდა ახლა მაგათზე ლაპარაკი, იმდენად გულის ამრევია. სიმართლე ისაა, რომ ამ ყველაფრის გამო გაბრაზებული ვარ ქართველ ხალხზე.

**— რატომ?**

– შეხედეთ დებატებს, მელია რომ გამოდის ახლა, სულ არასამთავრობოების, ამერიკელების დირექტივებით საუბრობს, მთავარია, შეურაცხყოფა მიაყენოს კონკურენტს. ის რას უპასუხებს, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა. მე ვარ გაბრაზებული იმიტომ, რომ ვისაც პროტესტი აქვს, სახლში კი არ უნდა იყოს, უნდა მივიდეს და არ დააბრუნონ „ნაციონალები" ხელისუფლებაში. ახლა ყოფნა-არყოფნის საკითხია და გვინდა, გადარჩენა. ეგენი რომ მობრუნდნენ, ისე კი არ იქნება საქმე, ახლა სასამართლო რომ იხილავს, ვინ დაიჭირონ და ვინ – არა, მერე ყველას ადგილზე ამოხოცავენ, ადგილზე. არ მინდოდა, მეორე ადგილზე ეგენი წამოსკუპებულიყვნენ და ვინ წამოასკუპა ეგენი, ეს კიდევ საკითხავია. ჩემზე მეტად გულგატეხილი ვერავინ იქნება, რადგან 25 წელია, ვცდილობ, ქართველობა გადავარჩინო. სულ იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ არ შეიძლება ბრძოლის გარეშე. მესმის, რომ სამართლიანობა არ აღდგა, დამნაშავეები გარეთ არიან, მაგრამ ბრძოლის გარეშე არაფერი გამოვა.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული ოცნება" განცხადებას ავრცელებს

„ქართული ოცნება" თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინ კოალიციის კონკურენტების ფარულ პოლიტიკურ ალიანსზე საუბრობს.

„ორიოდე დღის წინ, რუსთავის მერობის კანდიდატს „ნაციონალური მოძრაობიდან" მხარდაჭერა გამოუცხადეს სხვა ოპოზიციური პარტიების ყოფილმა კანდიდატებმა, მათ შორის, კოალიცია „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის", „არასაპარლამენტო ოპოზიციის", ეროსი კიწმარიშვილის „ჩვენი საქართველოსა" და სხვა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებმა.

ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ კახეთის რეგიონში, სადაც ახმეტის გამგებლობის „ქართული ოცნების" კანდიდატს ბექა ბაიდაურს არჩევნების მეორე ტურში „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციიდან" ზურაბ ფილაშვილი უპირისპირდება, პირველობისთვის ბრძოლაში ჩაერთვნენ „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, მათ შორის, ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, რომელთა მიმართ უამრავი შეკითხვა არსებობს საზოგადოებაში, მათ შორის გახმაურებულ საქმეებზე.

უფრო კონკრეტულად – ახმეტაში გამგებლობის კანდიდატი ზურაბ ფილაშვილი 2005-2008 წლებში მუშაობდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს თელავი-ახმეტის განყოფილების ოპერატიულ თანამშრომლად. 2008-2011 წლებში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის მუნიციპალიტეტის პოლიციის სამმართველოს უფროსი, 2011-2012 წლებში კი – შინაგან საქმეთა სამინისტროს ყვარლის მუნიციპალიტეტის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ზურაბ ფილაშვილს ივანე მერაბიშვილის ყოფილ მოადგილესთან, გია ლორთქიფანიძესა და მის ძმასთან ახლო მეგობრული და ნათესაური კავშირი აქვს. მათი ხელშეწყობით იკავებდა იგი მაღალ თანამდებობებს შსს-ში და დღესაც „ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი აქტივისტების დახმარებით ცდილობს გამარჯვების მოპოვებას, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის" კანდიდატია.

ჩვენი კონკურენტი ახმეტის მუნიციპალიტეტში სახელშეცვლილი „ნაციონალური მოძრაობაა", აბსოლუტურად იდენტური ფასეულობებითა და ღირებულებებით.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენი ოპონენტების მიერ გაკეთებული თვითილუსტრაცია კიდევ ერთხელ დაარწმუნებს ამომრჩეველს, რომ „ქართული ოცნების" კანდიდატები უალტერნატივოები არიან მთელი საქართველოს მასშტაბით.

გვჯერა, ჩვენი მოქალაქეები წარსულში დაბრუნებასა და ქვეყნის წარმატებულ მომავალს შორის გონივრულ არჩევანს გააკეთებენ და 12 ივლისს ჩვენ ყველა ერთად ვიზეიმებთ საბოლოო გამარჯვებას", – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხონის რაიონში 17 წლის ახალგაზრდამ თავი მოიკლა




ხონის რაიონის სოფელ საწულიკიძეოში 17 წლის ახალგაზრდამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი სახლში მარტო ცხოვრობდა, მისი მშობლები კი თურქეთში სამუშაოდ იყვნენ წასულები.

ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge







# რა შეზღუდვებს დაუწესებს ევროკავშირი ქართველ მძღოლებს

## გახდება თუ არა ტრასაზე „უკანა ღვედების“ შეკვრა სავალდებულო?

**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ წინ ბევრი საინტერესო ამბავი გველოდება. არის საკითხები, რომლის შესრულებაც აუცილებელია, რათა ცხოვრება მოვიწესრიგოთ, მაგრამ არის საკითხები, რომლის შესრულებაც ასევე აუცილებელი იქნება, თუმცა, შესაძლოა, ცოტა ძნელად „ჩაჯდეს“ ჩვენს მენტალიტეტში.**

**და მაინც, რას გვავალდებულებს ასოცირების ხელშეკრულება ისეთს, რომ საზოგადოებაში შიშიც კი გაჩნდა? მოდით, დავიწყოთ ტრანსპორტით და უახლოეს ხანში გადავიდეთ სხვა სფეროებზეც. მაგალითად, საზოგადოებაში უკვე ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1992 წლის 10 თებერვლის ევროსაბჭოს დირექტივის მიხედვით, ზოგიერთი კატეგორიის ავტომობილებზე უნდა დამონტაჟდეს სიჩქარის შეზღუდვის მოწყობილობა.**

**ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე „ალიას“ „ავტომფლობელთა ფედერაციის პრეზიდენტი“, ექსპერტი შალვა ოგბაიძე ესაუბრება:**

– საერთოდ, ადამიანს არ უნდა გავუჩინოთ იმაზე მეტი მოლოდინი, რაც სინამდვილეში ამა თუ იმ დოკუმენტზე ხელის მოწერის შემდეგ მოხდება. სამწუხაროდ, დღეს საზოგადოებაში ნაკლებად არის საუბარი იმ ვალდებულებებსა და მოვალეობებზე, რასაც ევროკავშირი გვაკისრებს. რაც შეეხება კონკრეტულად ტრანსპორტს, მოდით, გულდასმით გადავხედოთ, რას გვავალდებულებს დიდი ევროპული ოჯახი? თქვენ უკვე ახსენეთ ევროსაბჭოს 1992 წლის დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს ზოგიერთი კატეგორიის ავტომობილებზე სიჩქარის შეზღუდვის მოწყობილობის დამონტაჟებას. თუ ეს საკითხი კარგად არ განვუმარტეთ მოსახლეობას, შეიძლება ეს ვიღაცამ გამოიყენოს პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად, ანუ საზოგადოებაში დაიწყება ლაპარაკი: აჰა, ხედავთ? ჩვენ ევროკავშირი ავტომობილებზე გვავალდებულებს სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების დამონტაჟებას. არადა, დირექტივაში საუბარია სატვირთო ავტომობილებზე, რომლებსაც აქვთ საშუალება, ტვირთის გარეშე დიდი სიჩქარე განავითარონ, რასაც მათი ტექნიკური აღჭურვილობა ვერ გაუძლებს. პრინციპში, ეს დირექტივა მაინც მანქანების მწარმოებლებისთვის არის განკუთვნილი. სიმართლე რომ ვთქვათ, ამ დადგენილების შესრულება საშინელებაა, მაგრამ სავალდებულოა. ესენი მწარმოებლებს ეუბნებიან: ძვირფასებო, მანქანებს რომ დაამზადებთ, სიჩქარის შემზღუდავიც გაუკეთეთ.

**— გასაგებია, რომ მძიმე ტვირთების გადამზიდავ მანქანას სჭირდება სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობა, მაგრამ აქ რა სისტემაა, ჩართვა და გამორთვა შესაძლებელი იქნება?**

– არა... მოდით, ჯერ განვმარტოთ: ეს შეზღუდვა ეხება მხოლოდ სატვირთო და სამგზავრო ავტომობილებს. თუმცა არსებობს მსუბუქი ავტომობილები, რომლებზეც ეს მოწყობილობა უკვე დამონტაჟებულია. მაგალითად, საქართველოში შემოდის მარჯვენასაჭიანი იაპონური მანქანები, მათ შორის არის „სუბარუ იმპრეზა“. ყველას უკვირს, „სპიდომეტრზე“ აწერია 260 და ამ დროს მანქანა 180-ზე მეტს ვერ ავითარებს. რატომ? იმიტომ, რომ იაპონიის კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალულია ისეთი ავტომობილების წარმოება, რომელთა სიჩქარეც არ არის შეზღუდული 180 კილომეტრამდე. შემზღუდავი მოწყობილობა დამონტაჟებულია კომპიუტერულად.

დღეს საქართველოში არსებულ მანქანებს – „კამაზს“, „მაზს“, „კრაზს“, „კოლხიდას“, ანუ შინ მოუსვლელს (როგორც ჩვენი მძღოლები ეძახდნენ), ვერ ექნებათ სიჩქარის შემზღუდველი ერთი მარტივი მიზეზის გამო, ამ მანქანებში არ არსებობს საბორტო კომპიუტერი.

**— ბატონო შალვა, შეზღუდვა წესდება ქვეყნიდან გამავალ მანქანებზე, რა ხდება ქვეყნის შიგნით?**

– შიგნით, შენს ქვეყანაში რაც ხდება, ეს შენი პრობლემაა, როგორ დაარეგულირებ. საერთოდ, ევროკავშირს აქვს ასეთი მიდგომა: მაგალითად, 1990 წლამდე გამოშვებულ დიზელისძრავიან მანქანებზე გამონაბოლქვი აღარ რეგლამენტირდება. ისინი თვლიან, ეს მანქანები იმდენად ძველია, თუ სადმე დაგორავენ, ვაცადოთ, სიცოცხლე თავისით დაამთავრონო. მთავარია, ჰქონდეთ მუხრუჭი და განათება. როგორც ვხედავთ, ევროპული მიდგომა ლიბერალურია და არც საქართველოში გვემუქრება რაღაც დრაკონული კანონის შემოღება. ამავე დროს, სამგზავრო და სატვირთო ავტომობილებზე ევროკავშირი გვაძლევს ვადას, 2 წელს რატიფიკაციიდან. სხვათა შორის, ჩვენს გადამზიდავებს გაცნობიერებული აქვთ ყველაფერი და უცხოეთის ქვეყნებში მგზავრების გადამყვანი მანქანები საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

**„1990 წლამდე გამოშვებულ დიზელისძრავიან მანქანებზე გამონაბოლქვი აღარ რეგლამენტირდება. ისინი თვლიან, ეს მანქანები იმდენად ძველია, თუ სადმე დაგორავენ, ვაცადოთ, სიცოცხლე თავისით დაამთავრონო. მთავარია, ჰქონდეთ მუხრუჭი და განათება. როგორც ვხედავთ, ევროპული მიდგომა ლიბერალურია და არც საქართველოში გვემუქრება რაღაც დრაკონული კანონის შემოღება“**

**— ასეთი სახის ავტობუსებზე სიჩქარე სადამდე შეიზღუდება?**

– მაქსიმუმი იქნება 90-100 კილომეტრი საათში. დღეს ლაპარაკობენ იმაზეც, რომ ასეთი სახის ტრანსპორტში უნდა დამონტაჟდეს ხმის ჩამწერი მოწყობილობა. ეს საკითხი შეცდომით თარგმნეს და ბევრმა ვერ გაიგო, რასთან გვაქვს საქმე. აქ უნდა

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „ჭორვილელი თავკერძას პატარა კაცობა კიდევ ერთხელ დამტკიცდა“

„ნაციონალი“ გივი თარგამაძის განცხადებით, ის, რომ პროკურატურა ითხოვს უგულავასთვის აღმკვეთი ღონისძიების დამძიმებას და მისი სიდედრის ბინის სახელმწიფოსთვის გადაცემას, მორიგი სისაძაგლეა.

„პროკურატურამ მოითხოვა მორიგი სისაძაგლე, ეს არის კიდევ ერთი მტკიცება ჭორვილელი თავკერძას პატარა კაცობის. ყველამ ერთად გადაწყვიტეს, რომ უგულავას წაართვან სიდედრის ბინა, ეს ძალიან ცუდად დამთავრდება“, – აღნიშნა თარგამაძემ.

გოკა გაბაშვილის თქმით, „ივანიშვილს განზრახული აქვს გიგის ოჯახის გამწარება და განადგურება, რასაც ვერ ეღირსება. გიგიც და ჩვენც ყველა ერთად გავაგრძელებთ ბრძოლას ამ სამარცხვინო რეჟიმის წინააღმდეგ“.

გიგი უგულავას მიმართ, რომელიც რამდენიმე დღის წინ დააპატიმრეს, პროკურატურამ ერთ-ერთ ბრალდებაზე აღმკვეთი ღონისძიების – გირაოს დამძიმება მოითხოვა. კერძოდ, უგულავას თბილისის განვითარების ფონდის საქმეზე 50 ათასლარიანი გირაო შეეფარდა გასული წლის 21 დეკემბერს, რომლის უზრუნველყოფა სიდედრის ბინით მოახდინა. პროკურატურამ კი განაცხადა, რომ უგულავამ გირაოს ვალდებულებები დაარღვია. ჩაიდინა ახალი დანაშაული, რის საფუძველზეც მას აღმკვეთი ღონისძიება უნდა დაუმძიმდეს და გირაო პატიმრობით შეეცვალოს, ხოლო ბინა, რომელიც ჩადებულია გირაოში, გადაეცეს აღსრულებაზე. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსეთში გასატანი პროდუქციის ნუსხა გაიზარდა



გასული წლის 28 ივნისიდან, 8-წლიანი პაუზის შემდეგ რუსეთში დაბალი რისკის შემცველი პროდუქცია (ჩაი, დაფნა, ჩირი და ა.შ.) შევიდა. მოგვიანებით, 2013 წლის 14 ოქტომბრიდან რუსეთში ქართული თხილის, ციტრუსის, ყურძნის, ვაშლის, მსხლისა და კომშის შეტანა გახდა შესაძლებელი. 2014 წლის 26 მაისიდან საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალს მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის მქონე მცენარეული წარმოშობის ქართული პროდუქტი ახალი კარტოფილი (გარეცხილი, სამომხმარებლო შეფუთვით), პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ქლიავი, ხურმა, კივი და კენკროვნები დაემატა; 9 ივლისიდან კი ქართველ ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ, რუსეთის ფედერაციაში ხახვი, სტაფილო, ჭარხალი, წიწაკა, წითელი ტკბილი წიწაკა, საზამთრო და ნესვი გაიტანონ. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

ეწეროს „ტაქოგრაფის მოწყობილობა“ და არა ჩამწერი.

**— ეს რას ნიშნავს?**

– სხვათა შორის, 2013 ნოემბრიდან, საქართველოდან გასული ყველა გადამზიდავი ფირმის ავტომობილი აღჭურვილია ელექტრონული ტაქოგრაფით, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციას და რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: მძღოლმა დღე-ღამეში არ უნდა იმუშაოს 9 საათზე მეტი. ვინც ამას აკონტროლებს, „ფლეშკას“ შეაერთებს ტაქოგრაფში და მიიღებს ინფორმაციას, ბოლო ორი კვირის განმავლობაში ავტომობილის სიჩქარისა და მძღოლის სამუშაო საათების რაოდენობის შესახებ, კვირაში უნდა გამოვიდეს 45 საათი. ამისი გაკონტროლება ხდება ძალიან მკაცრად, ევროკავშირი თავის წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, შერჩევით შეამოწმონ გადამზიდავი ტრანსპორტის არანაკლებ 3 პროცენტისა. ღმერთი არ გაუწყრეს ვინმეს, გადააჭარბოს, ამაზე უზარმაზარი ჯარიმებია. აქვე განვმარტავ, რომ ჩვენ ქვეყნის შიგნით ამ მხრივ ვალდებულება არ გვაქვს, ჯერჯერობით ეს ეხება საერთაშორისო გადაზიდვებს.

შიდა ბაზარზე ამ მეთოდის დანერგვა უნდა მოხდეს 5 წლის განმავლობაში. ეს ვადა, ალბათ, საკმარისია იმისთვის, რომ ნელ-ნელა დინოზავრებივით გადაშენდნენ ძველი „ზილები“, „მაზები“ თუ სხვა მბოლავი მანქანები. ამავე დროს, ერთ-ერთი დირექტივა ითვალისწინებს სამგზავრო და სატვირთო ავტომობილების სიგრძის, სიგანის, სიმაღლისა და ღერძზე დატვირთვის სტანდარტების გაუმჯობესებას. ამ მხრივ 2 წელი გვაქვს დრო და სიმართლე რომ ვთქვათ, ესეც მწარმოებლებისთვისაა განკუთვნილი. მე და შენ გულით რომ მოვინდომოთ, ავტომობილებს ვერც დავაგრძელებთ, ვერც დავამოკლებთ. ამიტომ, ამიერიდან ისეთი მანქანები უნდა შემოვუშვათ ქვეყანაში, რომლებიც უკვე აკმაყოფილებენ ამ სტანდარტებს. გადამზიდავმა ფირმებმა უნდა იყიდონ ისეთი მანქანები, რომლებსაც შეუშვებენ ევროპის ქვეყნებში. შიდა გადაზიდვებში ხმარობენ ძველ მანქანებს, მაგრამ ეს ჯერჯერობით პრობლემას არ ქმნის. პირდაპირ ვამბობ, დღეს საქართველოში შემოტანილი „კრაზი“, „კამაზი“ და სხვა მსგავსი მანქანები საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

**— 2 წლის ვადაში ეს მოთხოვნა ქვეყნის შიგნითაც უნდა შესრულდეს?**

– კი, უნდა შესრულდეს. სხვათა შორის, ჩვენში ბოლო დროს ღერძზე დატვირთვას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ, ხშირად ხდება ავტომობილების აწონა სპეციალურ სასწორებზე. თუ ტვირთი დასაშვებ ნორმას ძალიან აღემატება, ჯარიმა არის 1000 ლარი. ამავე დროს უნდა შემცირდეს ტვირთის წონა. ასე რომ, ამ რეგულაციის დანერგვაში რაღაც გვაქვს გაკეთებული, ეს ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაიწყო.

**— ბატონო შალვა, საუბარია იმაზეც, რომ სავალდებულო იქნება ღვედების ხმარება მსუბუქ ავტომობილში უკან მჯდომი ადამიანებისთვისაც.**

– მე ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერი მსმენია, ასეთი ცვლილება ამ ეტაპზე არ მზადდება. თუმცა გამორიცხულია, ევროპაში უკან ღვედი არ გეკეთოს. წარმოიდგინეთ, მართავთ მანქანას და უკან გიზით 100-კილოგრამიანი ადამიანი, რომელიც დაუბმელია. ღმერთმა დაგიფაროთ, 60 კილომეტრითაც რომ მიდიოდეთ და რაღაც მოხდეს, ზურგში გხვდებათ 5-ტონიანი მასა. ჩემი რეკომენდაციაა, როდესაც გადავადგილდებით ავტობანზე ან სწრაფმავალ გზებზე, აუცილებლად ვიხმაროთ უკანა ღვედები.



**„დღეს ლაპარაკობენ იმაზეც, რომ ასეთი სახის ტრანსპორტში უნდა დამონტაჟდეს ხმის ჩამწერი მოწყობილობა. ეს საკითხი შეცდომით თარგმნეს და ბევრმა ვერ გაიგო, რასთან გვაქვს საქმე. აქ უნდა ეწეროს „ტაქოგრაფის მოწყობილობა“ და არა ჩამწერი“**



**„წარმოიდგინეთ, მართავთ მანქანას და უკან გიზით 100-კილოგრამიანი ადამიანი, რომელიც დაუბმელია. ღმერთმა დაგიფაროთ, 60 კილომეტრითაც რომ მიდიოდეთ და რაღაც მოხდეს, ზურგში გხვდებათ 5-ტონიანი მასა. ჩემი რეკომენდაციაა, როდესაც გადავადგილდებით ავტობანზე ან სწრაფმავალ გზებზე, აუცილებლად ვიხმაროთ უკანა ღვედები“**

**— გადავიდეთ ტექდათვალიერების საკითხებზე, ამ მხრივ რა გვაქვს ახალი?**

– მრიცხველი ამ მხრივაც ჩართულია, მაგრამ წინ გვაქვს 4 წელი. სხვათა შორის, ეს საკითხი ყოველი არჩევნების წინა პერიოდში ჩერდება, ყველა ფიქრობს, რომ ამით ხალხს გაანაწყენებს. ამიტომ, ჯერჯერობით ტექდათვალიერების აღდგენაზე არავითარი საუბარი არ არის. სამგზავრო და სატვირთო ავტომობილები ამჟამად ფორმალურ შემოწმებას კი გადიან, მაგრამ სტანდარტები გასაუმჯობესებელია და 4 წელი ამისთვის უნდა იყოს გამოყენებული.

**— შესაძლებელია, რომ 2015 წლის მარტიდან მსუბუქ ავტომობილებზე ტექდათვალიერება არ განახლდეს?**

– შესაძლებელია იმიტომ, რომ ამ მხრივ არაფერი არ გაკეთებულა. რანაირად განახლდება, როცა ის 24 საწარმო, სადაც დღეს სატვირთო და სამგზავრო ავტომობილები გადიან ტექდათვალიერებას, ვერ აუვა საქართველოში 1 მილიონამდე არსებულ მანქანას. ამიტომ, შეგვიძლია, გაბედულად ვთქვათ, რომ 2015 წლის მარტიდან ტექდათვალიერება ვერ ამოქმედდება. არსებობს ორი მიზეზი: პირველი – ჯერჯერობით არ ჩანს გამოკვეთილი პოლიტიკური ნება, მეორე – როგორც უკვე გითხარით, არ არსებობს მომსახურების ტექნიკური საშუალებები. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ავტოპარკი, როგორ უნდა წახალისდეს ამ პარკის განახლება, რათა გახდეს უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა. უნდა წახალისდეს ჰიბრიდული და ელექტრონული ავტომობილების შემოტანა. ჩვენ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ფაქტია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში დადიან ისეთი მანქანებით, რომლებით გამოსვლაც გარეთ არ შეიძლება. ტექდათვალიერებას თავი დავანებოთ, ზრდილობა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მბოლავი და მხრჩოლავი მანქანით არ იაროს. როცა მანქანას თხევადი აირი ეღვრება საბარგულში, სძვრება აირ-ბალონი და ბორბლები აქვს გაჩაჩხული, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ? სამწუხაროდ, ამ მხრივ მედიაც პოლიტიზებულია, საკმარისია, ამაზე რამე თქვა, ეგრევე იწყება: რა ქნას ამ გაჭირვებულმა ხალხმა, ადამიანებმა ხომ უნდა იტაქსაონ და ლუკმა იშოვონ? ღმერთმა დაიფაროს, ამისი მთქმელის ახლობელს რომ დაეჯახოს ასეთი ჯართი ავტომობილი, კიდევ იტყვის რამეს? როგორ ხასიათზე დადგება? საკითხი, რომელიც ეხება უსაფრთხოებას, ეს უნდა შევისწავლოთ და გამოვასწოროთ, აქ ორი აზრი არ არსებობს.

*(თემის გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ანაკლიის პორტი იქნება ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი საქართველოსთვის“



პრემიერ-მინისტრმა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის პრეზენტაციაზე განაცხადა:

„მოხარული ვარ, რომ ჩვენი მუშაობის შედეგად ეს გეგმა სრულიად რეალისტური გახდა. ჩვენ ამ საკითხზე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და პორტის აშენების გადაწყვეტილება მივიღეთ მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდა კვლევები და დაიდო კვალიფიციური დასკვნა... ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ანაკლიის პორტს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს დიდი ზომის – ე.წ. პანამაქსისა და პოსტპანამაქსის ტიპის გემები. პორტი შეძლებს 100 მილიონ ტონამდე შერეული ტვირთის გადამუშავებას. ეს მართლაც დიდი მასშტაბებია და უდავოდ იძლევა იმის საფუძველს, რომ ანაკლია გახდეს საერთაშორისო მნიშვნელობის საკვანძო ადგილი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივი ლოჯისტიკური კვანძი“. – განმარტა პრემიერმა.

ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელების შედეგად გაჩნდება ძალიან ბევრი სამუშაო ადგილი; განვითარდება ლოჯისტიკის ბიზნესი, რაც გულისხმობს არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ტვირთების გადაზიდვას სხვა ქვეყნებში, არამედ ასეთი ტვირთების საქართველოშივე გადამუშავებასა და მათთვის დამატებითი ღირებულების მინიჭებას; შეიქმნება ხელსაყრელი პირობები ქართული პროდუქციის ექსპორტისთვის. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ზუგდიდელმა ბიჭმა დათო ნარმანიამ „კარენნოი“ თბილისელ მელიას პირწმინდად მოუგო“



უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძე სოციალური ქსელის მეშვეობით ნიკა მელიასა და დავით ნარმანიას შორის გამართულ დებატებს გამოეხმაურა.

„ვუყურე დებატებს მერობის კანდიდატებს შორის. რატომღაც მეგონა, რომ მელია მოიგებდა, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა მანამდე მისი რეკლამები. თუმცა დებატებზე სხვანაირად გამოჩნდა. ზუგდიდელმა ბიჭმა დათო ნარმანიამ „კარენნოი“ თბილისელ მელიას პირწმინდად მოუგო. იყო ბევრად უფრო საქმიანი, ხალხზე ორიენტირებული და საერთოდ არ იკბინებოდა. მელიას ტრაბახმა თბილისელობით და გამუდმებულმა ღრენამ ძალიან დამღალა.

მე ვფიქრობ, რომ ნარმანია ბევრად უფრო კვალიფიცირებულია მერობაზე და ყველა ჩემს თანამოაზრეს პირდაპირ ვეტყვი, რომ მას მისცეს ხმა. ეს კაცი ბევრად მეტ სიკეთეს მოიტანს, ვიდრე ყველა „ნაციონალი ერთად“, ყოველგვარი ღრენისა და კბენის გარეშე“, – წერს კაკაბაძე. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ვინ ხელმძღვანელობს არასამთავრობოთა კასტას?



„გლობალური კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ნანა დევდარიანი აცხადებს: „დააკვირდით, სამეულია: გიგაური, ლომჯარია, კოჟორიძე, რომლებიც გაცილებით ხშირად არიან არა მხოლოდ „რუსთავი 2“-ის, არამედ სხვა ტელეკომპანიების ეთერებშიც, ვიდრე პოლიტიკური ლიდერები. ეს არაფერზე არ მეტყველებს? ერთხელ რაღაც უმნიშვნელო მოხდა და ვიღაცამ იხუმრა სოციალურ ქსელში, კოჟორიძეს ჯერ არ გაუკეთებია ამაზე კომენტარიო? – რაღაც კასტაა შექმნილი, რომელსაც მინდობილი აქვს აბსოლუტური ჭეშმარიტების ნიშა – რასაც ისინი იტყვიან ეს არის აბსოლუტური სიმართლე“.

„ალია“ **ნანა დევდარიანს** ესაუბრა:

– ჩვენ გვაქვს უცნაური ვითარება, როდესაც კახა კოჟორიძე, ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური უფრო ხშირად არიან ტელევიზორში, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. ფაქტობრივად, არ არის საკითხი, რომელზეც მათი აზრი არ იყოს საბოლოო ჭეშმარიტება. ამაში მხოლოდ თვითონ კი არ არიან დამნაშავეები, დამნაშავეა მედიაც. მაგრამ ჩვენს მედიას სჭირს ერთი უჩვეულო რამ, იცის რამდენიმე ცნობადი სახე და დანარჩენი არ გაეგება, საერთოდ, ქვეყანაზე რა ხდება. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ გვყავს ისეთი ჟურნალისტები, რომლებიც ელენე ახვლედიანის მობილურს კითხულობენ.

**— თქვენ ამბობთ, რომ შექმნილია კასტა. ვის მიერ არის შექმნილი, ვინ მართავს მათ?**

– ფაქტები არ სჭირდება იმას, რომ საზოგადოებამ დაინახოს, ვინ დგას მათ უკან, როდესაც იურისპრუდენციაზე პრეტენზიის მქონე ადამიანი ამბობს, რომ მორატორიუმი დაირღვა გიგი უგულავას დაკავებით, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ. იქ არ მოიძებნა ჟურნალისტი, რომელიც ჰკითხავდა, ან შეახსენებდა, თუ რაზე გამოცხადდა მორატორიუმი. ერთადერთი, რაზეც მორატორიუმი გამოცხადდა, ეს იყო პარლამენტის მიერ გამოცხადებული სიკვდილის დასჯა 1993 წელს, დანარჩენი პრემიერ-მინისტრმა როგორც არ უნდა განაცხადოს, მორატორიუმს ვაცხადებო, სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებას სიტყვიერი განცხადება არ აჩერებს. ეს ადამიანები კი ამბობენ, გიგი უგულავა რომ დაიჭირეს, მორატორიუმი დაირღვაო. მორატორიუმს არ ცნობს საერთოდ იურისპრუდენცია.

**— როდესაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაფუძნდა, თქვენ მაშინ აქტიურ პოლიტიკაში იყავით. იქიდან მოყოლებული, თუ ხედავთ ამ ორგანიზაციის ან სხვა ორგანიზაციის ფაქტებისადმი დამოკიდებულების ცვლილებას ხელისუფლების ცვლილებებთან ერთად?**

– ახლა მოგიყვანთ მაგალითს, რომელიც შთაბეჭდილებებზე კი არ არის აგებული, ან იმაზე, მე რა მგონია, ამის გადამოწმება, ფაქტობრივად, შეიძლება. რატომ მოხდა, რომ 2003 წელს, საიას შეჰქონდა გაუთავებლად ყველა წვრილმანზე სარჩელი სასამართლოებში და ყველა მათგანი იყო განხილული სასამართლოების მიერ. საარჩევნო დავებს ვგულისხმობ. როგორ მოხდა, რომ იმის შემდეგ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩატარებული არც ერთი არჩევნების დროს, მათი არც ერთი სარჩელი არ მიიღო სასამართლომ სხვადასხვა მიზეზების გამო და რატომ არ ტეხდნენ მაშინ ეს ორგანიზაციები ერთ ამბავს?.. პირადი პრეტენზიები მე არც კახასთან მაქვს, არც ნინოსთან და არც ეკასთან, მე მინდა სწორად გამიგოთ... უბრალოდ, მაკვირვებს ერთი ფაქტი, როცა უნდათ, ხედავენ და როცა უნდათ – ვერ ხედავენ. ისედაც არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ ძალიან დიდი პრივილეგია, მაგალითად, სახალხო დამცველის ოფისში შესული საჩივარი ყველა უნდა იქნას განხილული. არასამთავრობო ორგანიზაციებში შესული საჩივრები კი შეუძლიათ შერჩევითობის პრინციპით განიხილონ. მაგალითად, აილონ ერთი საჩივარი და სხვა ათასს საერთოდ არ შეხედონ ზედ. ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაციები მეტ სიფრთხილეს უნდა იჩენდნენ, რადგან ისინი გაცილებით თავისუფალნი არიან და პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებულები. მე მაგალითად, ძალიან კარგად მახსოვს მაგ ორგანიზაციების განცხადებები 2011 წლის 26 მაისს, როდესაც თქვეს სრული სისულელე, თან უტეხად, რომ თურმე არასანქცირებული იყო 26 მაისის აქცია და ამიტომ ხელისუფლებას უფლება ჰქონდა, დაერბია. ჩვენი კონსტიტუცია არც არასანქცირებულ მიტინგს და მეტსაც გეტყვით, მე ბოლოს ეს სიტყვები არასანქცირებული მიტინგი, რუსეთის ცენტრალურ ტელევიზიაში მაქვს მოსმენილი 1989 წლის 9 აპრილს. როგორც ასეთი, არასანქცირებული მიტინგი არ არსებობს, ჩვენი იურისპრუდენცია აძლევს უფლებას ნებისმიერ მოქალაქეს, გამოხატოს თავისი აზრი, მათ შორის ქუჩაში.

**— თვლით, რომ დასახელებული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ადგილი აქვს მიზანმიმართულ კამპანიას? როდესაც საუბრობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ისინი თვალს ხუჭავდნენ მთელ რიგ დარღვევებზე და დღეს განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან, ამას გულისხმობთ?**

– ეს ძალიან დიდი პროცესია და ასე ერთი შეხედვით, ან ხელაღებით განცხადების გაკეთება გამიჭირდება. ჩვენ ყველაფერს ვხედავთ და გვეს-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



**„ერთადერთი მორატორიუმი, რაზეც გამოცხადდა, ეს იყო პარლამენტის მიერ გამოცხადებული სიკვდილის დასჯაზე 1993 წელს, დანარჩენი პრემიერ-მინისტრმა როგორც არ უნდა განაცხადოს მორატორიუმს ვაცხადებო, სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედებას სიტყვიერი განცხადება არ აჩერებს“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ალექსანდრე ჭიკაიძემ და მისმა გერმანელმა კოლეგამ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე პირველი ოფიციალური ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრმა შეხვედრა გამართა გერმანელ კოლეგასთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ თომას დე მაიზირესთან. შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“.

აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, როგორიცაა: სიცოცხლის, სხეულისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, იარაღის უკანონო ბრუნვა, ადამიანებით ვაჭრობა და უკანონო მიგრაცია, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კორუფცია, კიბერდანაშაული, ფულის გაყალბება, ფინანსური დანაშაულები და სხვა. ხსენებული შეთანხმება ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას როგორც ოპერატიული, ასევე არაოპერატიული კუთხით, კერძოდ: დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში მეკავშირე ოფიცრების წარგზავნა, სპეციალისტების წარგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გამოცდილების გაზიარების მიზნით, კრიმინოლოგიური და საექსპერტო-კრიმინალისტიკური კვლევის შედეგების გაზიარება.

შეხვედრის შემდეგ, შეთანხმების ხელმოწერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა თომას დე მაიზირემ შეაფასა: „გერმანიის ფედერაციული მთავრობა, რომელსაც მე წარმოვადგენ და საქართველოს მთავრობა, რომელსაც წარმოადგენს ჩემი კოლეგა, ხელს აწერს შეთანხმებას უსაფრთხოების სფეროში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. თავისუფლება და უსაფრთხოება ყველა ქვეყნის მოქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თავისუფლების გარეშე არ არსებობს უსაფრთხოება და უსაფრთხოების გარეშე არ არსებობს თავისუფლება. დღესდღეობით უსაფრთხოების ორგანიზება არცერთ ქვეყანას მარტო არ შეუძლია და ამისთვის საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა. მე ვგულისხმობ უსაფრთხოებაში არა მარტო კრიმინალთან ბრძოლას, არამედ ეს ეხება უსაფრთხოებას ძალიან ფართო გაგებით, გნებავთ, ფრენის უსაფრთხოებას, გნებავთ, საზღვრების უსაფრთხოებას, გნებავთ, დოკუმენტების უსაფრთხოებას, გნებავთ, დახმარებას პოლიციელთა თანამშრომლობაში. ჩვენი შეთანხმების მიზანია საქართველოსა და გერმანიას შორის თანამშრომლობა ამ სფეროში კიდევ უფრო მაღალხარისხობრივ საფეხურზე ავიყვანოთ. ეს მხოლოდ ხელმოწერაა, მაგრამ ხვალიდანვე უკვე დავიწყებთ ამ შეთანხმების განხორციელებაზე მუშაობას“.




საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ მადლობა გადაუხადა გერმანელ კოლეგას და საქართველოს შსს-სთვის გერმანიის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა: „მადლობას გადავუხდი ჩემს კოლეგას, გერმანიის მთავრობას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის, მითუმეტეს, ევროპასთან დაახლოებისთვის. გერმანია ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, რაც შეიძლება მრავალი ვისწავლოთ პრაქტიკაში, გამოცდილებაში. გერმანია ხდება სტრატეგიული თანამშრომელი ჩვენი ქვეყნის არამარტო კრიმინალთან ბრძოლაში, უსაფრთხოებაში და სხვადასხვა იმ მნიშვნელოვან ასპექტში, სადაც ჩვენს ქვეყანას აუცილებლად გამოადგება გერმანიის ცოდნა და პრაქტიკა. მინდა, მადლობა კიდევ ერთხელ გადავუხადო და ვუსურვო წარმატებები“.

(ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

მის. გარდა ამისა, ადამიანები გრძნობენ ინტუიციით, რომ ეს ასეა. თუმცა სინამდვილეში, ვითარება გაცილებით რთულია. გაიხსენეთ, 2003 წელს, აღნიშნულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სააკაშვილის მხარდამჭერებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ დაესუსტებინათ შევარდნაძის ხელისუფლება. ყველაფერზე აკრიტიკებდნენ, ყველაფერზე იძახდნენ, რომ ეს წარმოუდგენელი დარღვევაა და ასე არ შეიძლება. იმის შემდეგ, რაც ხდებოდა მთელი 9 წლის განმავლობაში, რაღაც, მე რაღაც არ მახსოვს ასეთი მძაფრი რეაქცია მათი მხრიდან. ახლა მინდა თუ არ მინდა, მე დასკვნა გამომაქვს, რომ ამის უკან დგას კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფის ინტერესი და ახლა ეს „ნაციონალები“ არიან თუ სხვა ვინმე, ჩემთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს არის ქვეყნისთვის საზიანო. ჩვენ თუ გვინდა უკეთესი ქვეყანა, ვიდრე გვქონდა ბოლო წლების განმავლობაში, მაშინ ასე არ უნდა მოვიქცეთ.



„გახსოვთ, ალბათ, გიგა ბოკერია როგორ იკლავდა თავს ადამიანის უფლებებისთვის, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა, იგივე გივი თარგამაძე. შემდეგ კი, ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ რა მონსტრებად იქცნენ, ყველამ ვნახეთ“

„ძალიან კარგად მახსოვს მაგ ორგანიზაციების განცხადებები 2011 წლის 26 მაისს, როდესაც თქვეს სრული სისულელე, თან უტეხად, რომ თურმე არასანქცირებული იყო 26 მაისის აქცია და ამიტომ ხელისუფლებას უფლება ჰქონდა დაერბია... როგორც ასეთი, არასანქცირებული მიტინგი არ არსებობს, ჩვენი იურისპრუდენცია აძლევს უფლებას ნებისმიერ მოქალაქეს გამოხატოს თავისი აზრი, მათ შორის ქუჩაში“.

**— ამ არასამთავრობო ორგანიზაციებზე ხშირად მსმენია, რომ უთქვამთ, ცდილობენ, დემოკრატიული ინსტიტუტები გააძლიერონ საქართველოში და დემოკრატიულ პროცესებს შეუწყონ ხელიო...**

– (მაწყვეტინებს) მე უკვე მაგაშიც ეჭვი მეპარება და რატომ, იცით?.. 2003 წელს არჩევნების შემდგომ მიტინგები რომ დაიწყო, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დასავლეთიდან ფინანსდებოდა, ყველა, როგორც სამსახურში, ისე მიდიოდა მიტინგებზე, ეს შემთხვევითია?.. შემდეგ უკვე სააკაშვილის ხელისუფლების დროს არ მახსენდება ერთი ფაქტი, რომ ან მიტინგი, ან მსვლელობა, ან რაიმე პროტესტი ყოფილიყო მათი მხრიდან გამოხატული, სიტყვიერადაც კი არაფერს ლაპარაკობდნენ.



„სააკაშვილი ვერ იტანდა ვერანაირ ავტორიტეტს და როდესაც ეს ავტორიტეტები გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს. ხომ არ დაგავიწყდათ, „ჩარეცხილები“ ვის დაუძახა ჭაბუა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს და აღარ გავაგრძელებ სიას... რატომ? იმიტომ, რომ თვითონ უნდა ყოფილიყო ავტორიტეტი... ესენიც იგივეს აკეთებენ“

**— სხვათა შორის, მათგან ხშირად მოგვისმენია განცხადებები, რომლებიც, გნებავთ ეკლესიის და გნებავთ, ტრადიციების წინააღმდეგ იყო მიმართული.**

– სააკაშვილი ვერ იტანდა ვერანაირ ავტორიტეტს და როდესაც ეს ავტორიტეტები გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს. ხომ არ დაგავიწყდათ, „ჩარეცხილები“ ვინ დაუძახა ჭაბუა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს და აღარ გავაგრძელებ სიას... რატომ? იმიტომ, რომ თვითონ უნდა ყოფილიყო ავტორიტეტი... ესენიც იგივეს აკეთებენ, ესენი ამბობენ, რომ ეკლესია ავტორიტეტია და ახლა უნდა გამოუთხარონ ძირი, რომ მხოლოდ თვითონ დარჩნენ ავტორიტეტებად და მხოლოდ მათი სიტყვა იყოს საზოგადოებისთვის დამაჯერებელი და მისაღები და ყოველდღე ეკრანიდან მიაწოდონ საზოგადოებას მზა რეცეპტები, თუ რაზე რა აზრის უნდა ვიყოთ და როგორ უნდა მოვიქცეთ. საერთოდ, ეს არასამთავრობო სექტორი არის ძალიან საინტერესო რამ. გახსოვთ, ალბათ, გიგა ბოკერია როგორ იკლავდა თავს ადამიანის უფლებებისთვის, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა, იგივე გივი თარგამაძე. შემდეგ კი, ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ რა მონსტრებად იქცნენ, ყველამ ვნახეთ.

**— თქვენ საუბრობდით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტი აქვთ. რატომ არ ითხოვენ შესაბამისი სამსახურები, რომ გამოქვეყნდეს მათი შემოსავლები და გასავლები?**

– საზოგადოებამ უნდა გააკონტროლოს, ან ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდეს. რატომ არავის გაუჩნდა აქამდე აზრად, რომ შეისწავლოს ეს საკითხი, ვგულისხმობ იმ ორგანიზაციებს, რომელთა სიტყვასაც დღეს წონა აქვს საზოგადოებაში. რა პროექტები განახორციელეს, რა აქვთ შედეგი, ეს არ არის საინტერესო?!.. თქვენ იცით მარტო 2003 წლის წინა პერიოდში „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენი აქვთ დახარჯული? მხოლოდ „საზოგადოების ინფორმირების“ პროექტზე 600 ათასი დოლარი იქნა დახარჯული, მხოლოდ ერთ პროექტზე.

**შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვას ჯეიმს ბეიკერი დაესწრება



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვის ცერემონიაზე დასასწრებად თბილისს მაღალი რანგის უცხოელი სტუმრები ეწვევიან.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვის ცერემონიაზე დასასწრებად, ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, თბილისს ეწვევიან: აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ოქტაი ასადოვი; სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე გალუსტ საჰაკიანი; ავსტრიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის ფედერალური მინისტრი ვოლფგან ბრანდშთეთერი; იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტაკაო მაკინო. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი; გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცე-კანცლერი, ჰანს დიტრიხ გენშერი და მისი მეუღლე ბარბარა გენშერი; ესტონეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი არნოლდ რუტელი; ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტი როზა ოტუმბაევა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საბავშვო ბაღებში დასარეგისტრირებელი საიტი დილიდან გათიშულია



საბავშვო ბაღებში დასარეგისტრირებელი საიტი (**www.kids.org.ge**) 10 ივლისს დილიდან გათიშულია. სწორედ ამ დღეს იწყებოდა ბავშვების რეგისტრაცია, თუმცა იმის გამო, რომ საიტზე დარეგისტრირება შეუძლებელია, მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

2014-2015 სასწავლო წლისთვის, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების რეგისტრაცია 1-ლი ივლისიდან დაიწყო.

საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 1-ლი ივლისიდან 5 ივლისამდე დარეგისტრირდნენ იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები და „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ფილიალის ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების), მოწერილობის საფუძველზე.

5 ივლისიდან 10 ივლისამდე რეგისტრირდებიან უკვე დარეგისტრირებული ბავშვების დედმამიშვილები. 10 ივლისიდან კი, უნდა დარეგისტრირდეს უწყვეტად ყველა ბავშვი.

ახალი 2014-2015 სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის, ბაგა ბაღებში ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია ბავშვებისთვის, რომლებიც 2014 წლის 8 სექტემბრისთვის იქნებიან 2 წლის, ასევე, ბავშვები, რომლებსაც 8 სექტემბრისთვის არ შესრულებიათ 6 წელი.

ამასთანავე, სააგენტომ რეგისტრაცია გამოაცხადა ივლისში მომუშავე საზაფხულო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელების დასარეგისტრირებლად. საზაფხულო ბაგა-ბაღებში 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ელექტრონული რეგისტრაცია 15 ივნისს დაიწყო. რამდენიმე მათგანში თავისუფალი ადგილები უკვე აღარ არის. (ინტერპრესნიუსი)

კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატის დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ის 10 დღის განმავლობაში გერმანიაში იმყოფებოდა და ევროკავშირთან ასოცირების დოკუმენტის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ასპექტებს სწავლობდა.

„ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ევროკავშირმა შეისწავლა ჩვენი ბაზარი და ძალიან სერიოზული პრობლემები გვექნება. ჩვენ ბაზარზე შესვლის გადასახადი გვაქვს გადასახდელი, რისგანაც განთავისუფლებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და ქართულ ბაზარზე მათ არავითარი დაბეგვრის საშიშროება არ აქვთ. შეიძლება ბევრმა არ იცის, მაგრამ ევროკავშირი განთავისუფლებულია ყველანაირი ბეგარისგან ქართულ ბაზარზე შემოსვლის შემთხვევაში, ხოლო 28 დასახელების პროდუქტზე, რომელსაც აწარმოებს ქართული მხარე, დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები“.

„ალიას“ **დიმიტრი ლორთქიფანიძე** ესაუბრა:

— რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტში, რამ მიიქცია თქვენი ყურადღება?

— გერმანიაში ვიმყოფებოდი ჩემი მეგობრების მიწვევით, რომლებიც დაკავებულნი არიან ადგილზე ბიზნესით და სხვათა შორის, გეგმავენ, რომ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინონ საქართველოში. მათ იციან, რომ ევროკავშირში წარმოებული პროდუქცია არ იბეგრება ქართულ ბაზარზე შემოსვლის შემთხვევაში.

**— კონკრეტულად რა პროდუქტებზეა საუბარი?**

– მაგალითად, ღვინოზე. არის იტალიური და ფრანგული წარმოების შუშხუნა ღვინოები, რომლის საცალო ფასია 2.30 ევრო. ეს არის გარკვეული დაბეგვრის შედეგად დადგენილი ფასი, დაბალი ღირებულებისაა, საქართველოში ის მინიმუმ 8.50 ლარი ღირს. ანუ რეალურად იქმნება საფრთხე, რომ ვინაიდან ევროკავშირში წარმოებული პროდუქცია არ იბეგრება საქართველოში ღვინომასალები შეიძლება შემოვიდეს მეოთხედ ფასში იმ ღირებულებისა, რომელიც საცალო ქსელში იყიდება და ქართული წარმოება დაზარალდება. ეს შეუქმნის დიდ საფრთხეს ქართულ ბაზარს.

აღარ ვლაპარაკობ იმაზე, როგორი შანსია, რომ ქართული პროდუქცია გავიდეს ევროკავშირში. დამისახელონ სოფლის მეურნეობის თუნდაც ერთი პროდუქტი, რომელიც მოიკიდებს ფეხს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ბაზარზე, რადგან იქ ბაზარი გაჯერებული კი არა, გადაჯერებულია უკვე. ჩვენთვის არაფრის გაყიდვის შანსი არ არსებობს, თუ პირველ რიგში, არ აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს, მეორე შემთხვევაში კი, რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანის შემთხვევაში ჩვენმა მეწარმეებმა უნდა გადაიხადონ ბაზარზე შესვლის გადასახადი.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# „ამას მალავს ხელისუფლება“

## რა უცნობი მუხლები აღმოაჩინა ლორთქიფანიძემ ასოცირების ხელშეკრულებაში?





„ევროკავშირს, სანამ ამ ასოცირების ხელშეკრულებას შემოგვთავაზებდა, ყველაფერი ჰქონდა გააზრებული. პარაფირება ნიშნავდა იმას, რომ ჩასწორებული დოკუმენტი შემოგვთავაზა შალახოს ფონზე. იქ უკვე შესწავლილი ჰქონდათ მთელი ჩვენი ბაზრის სისტემა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის“

**— აბა, რომ გვიმტკიცებდნენ, დაბეგვრა არ იქნება, ისე შევა ჩვენი პროდუქტებიო?**

– აი, მაგაშია საქმე, დაბეგვრა არ იქნება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ხოლო ბაზარზე შესვლის გადასახადს ვიხდით 28 სახეობის პროდუქტზე. პირდაპირ გეუბნებით, რომ ევროკავშირს, სანამ ამ ასოცირების ხელშეკრულებას შემოგვთავაზებდა, ყველაფერი ჰქონდა გააზრებული. პარაფირება ნიშნავდა იმას, რომ ჩასწორებული დოკუმენტი შემოგვთავაზა შალახოს ფონზე. იქ უკვე შესწავლილი ჰქონდათ მთელი ჩვენი ბაზრის სისტემა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის. აქედან გამომდინარე, მათ ჩამოგვიყალიბეს სტრუქტურა, რომელზეც ვრცელდება ბაზარზე შესვლის გადასახადი. ეს სისტემა გამორიცხავს დემპინგურ ფასებს. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურზე ნაკლებად ღირებულ ფასში რაიმე საქონლის შეტანის შესაძლებლობა მთლიანად გამოირიცხა. ავიღოთ გულაბი მსხალი, ყურძენი, ატამი... ამას აწარმოებენ საქართველოში და უნდა ვაღიაროთ, რომ მათი თითღირებულება ძალიან დაბალია. ადრე კომპანია ყიდულობდა ვაშლს 6 თეთრად, რომ ეწარმოებინა ვაშლის ხილფაფები ბავშვებისთვის. ამ შემთხვევაშიც კი, გლეხი ევროკავშირის ბაზარზე ვერ შეიტანს იმ ფასად, რა ფასიც მას ეს ულირს. კარგი ხარისხის ვაშლი თუ 40 ცენტად მოსდის და სურს ბელგიის, ანტვერპენის ბაზარზე მისი გატანა, მას ვერ შეიტანს, თუ არ გადაიხდის ბაზარზე შესვლის ღირებულებას, რის შემდეგაც მთელი ეს ფასი გაუტოლდება იმ ბაზარზე არსებულ ფასებს.

**— კი, მაგრამ, სახელმწიფო პროპაგანდაც ხომ იქით იყო მიმართული, რომ თითოეულ გლეხს, მეწარმეს ეგრძნო შვება და ამით რუსეთის ბაზრის ალტერნატივას სთავაზობდნენ მათ?**

– ამას მალავს ხელისუფლება. იგივე უკრაინასთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს პარიტეტს, მასა და ევროკავშირს შორის. იქ განსხვავება დაბეგვრასთან დაკავშირებით არ არსებობს. ჩვენთან დაკავშირებით კი არსებობს. ასოცირების ხელშეკრულებამდე სპეციალისტებმა შეისწავლეს ჩვენი ბაზარი, დარწმუნდნენ, რომ იაფი ვაშლი გვაქვს, მიხვდნენ, რომ ევროკავშირის ქვეყნები შეიძლება დადგნენ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გურჯაანში მომხდარი ავარია მსხვერპლით დასრულდა




გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენის ცენტრალურ მაგისტრალზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, „ვაზ 21-06“ მარკის ავტომობილი „ფოლკსვაგენის“ მარკის მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად, ერთი ადამიანი გარდაიცვალა, დაშავებულია ორი. დაზარალებულები გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

## ღარიბაშვილი აშშ-ის სატრანსპორტო სარდლობის დელეგაციას შეხვდა



პრემიერმა მათ საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის გეგმა, ბაქო-თბილისი-ყარსისა და ანაკლიის პორტის პროექტები გააცნო.

„ჩვენ ძალიან კონსტრუქციული შეხვედრა გვქონდა პრემიერ-მინისტრთან. ძირითადი თემა იყო საქართველოს წვლილი ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების მისიაში. ჩვენ ასევე განვიხილეთ ლოჯისტიკურ სისტემასთან და ავღანეთიდან საქართველოს გავლით ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენ ძალიან ვაფასებთ საქართველოს და ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი“, – აღნიშნა პოლ სელვამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მშვიდობაში, „ნაციონალებო“, ნიკა მელია...“



საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, დავით ნარმანიასა და ნიკა მელიას შორის გამართულ დებატებს სოციალური ქსელით გამოეხმაურა.

„ძალიან, ძალიან მდაბიო, შინაარსისგან დაცლილი, შეურაცხყოფის მიყენების უნიჭო ტაქტიკაზე აგებული გამოსვლა – ასეთი შთაბეჭდილება დამიტოვა მელიამ.

ეს იყო ზუსტი ასლი „ნაციონალური მოძრაობის“ სახის... ან სხვას ვის დაემსგავსებოდა?

ყველაზე კომიკური ეპიზოდი იყო, როდესაც ნიკა მელია ამტკიცებდა, იმიტომ არ არის დავით ნარმანია დამოუკიდებელი, რომ ვერ თქვა, ვის გულშემატკივრობდა, ბრაზილიას თუ გერმანიასო. ელემენტარულ პოლიტიკურ სვლას ვერ არჩევს დამოკიდებულება-დამოუკიდებლობის შინაარსისგან.

ნუ, მოკლედ, მშვიდობაში, „ნაციონალებო“, ნიკა მელია...“, – წერს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ეკა ბესელია. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

გარკვეული გამოწვევის წინაშე. ამიტომ დაგვიწესეს დამატებითი რეგულაციები, რომელმაც გამოიწვია ამ ვაშლის ფასის მექანიკური ზრდა. ბაზრის დაცვის მექანიზმი ჩაიდო ამ ხელშეკრულებაში. ახლა ვითხოვ, ადგნენ და განგვიმარტონ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ის მუხლები, რაზეც მე ვამახვილებ ყურადღებას, ეს არის კერძოდ, მესამე მუხლი. როგორ უნდა გაიგოს ეს მესამე მუხლი მეწარმემ და გლეხმა, ეს ახსნან.

**— ქართველ გლეხს, რომელიც ტელევიზორთან ზის, ზუსტად ის უხარია, რომ აი, სივრცე გაიხსნა, ახლა თქვენ რომ ამას ეუბნებით, ის ხომ თავს მოტყუებულად გრძნობს?**

– ქართველი გლეხი, რომელიც ახლა ზის ტელევიზორთან და ხარობს, ჩვენმა მთავრობამ ასეთი საქმე გააკეთა, ახლა მე ვაშლს გავიტანო, მან არ იცის და მისთვის დაფარულია ინფორმაცია, რომ მისი ვაშლი სინამდვილეში ღირს უფრო მეტი, ვიდრე ის ვარაუდობს, რადგან ამას ითვალისწინებს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც ევროკავშირს აქვს. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ახლად გაწევრიანებული საქართველო ვერ შეიტანს პროდუქტს მათ ბაზარზე დამატებითი ღირებულებების გადახდის გარეშე. საბოლოო ჯამში, ეს არ არგებს ქართულ ეკონომიკას.

**— აბა, ხელისუფლება რა საიმედო ბაზარზე გვესაუბრება, თუ ამდენი ნაღმია ხელშეკრულებაში ჩადებული?**

– ყველა დეტალს ახლა ვერ ჩავუღრმავდები, მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანით ვიყავი დაინტერესებული. მოვუწოდებ ხელისუფლებას, განმარტოს ყველაფერი. მე და ლევან ჩაჩუამ მივმართეთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ გამოიყოს საათები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ და არასამთავრობოებმა გააკეთონ მრგვალი მაგიდა ასოცირების ხელშეკრულების განმარტებით ბარათთან დაკავშირებით, თითოეული მუხლის დადებითი და უარყოფითი მხარე განიმარტოს, რა საფრთხეები გვექნება, ან რა პერსპექტივები. თუმცა, მე რასაც ვხედავ, შესაძლოა, საქართველო გახდეს იმპორტზე სრულად დამოკიდებული ქვეყანა.

ევროკავშირში წარმოებული პროდუქცია, ზოგიერთი იმდენად იაფია, რომ ქართულიც კი არ იქნებოდა ასე იაფი, ამიტომ ბუნებრივად იქნება მისი შემოდინება. ეს წალეკავს ქართულ ბაზარს. მაგალითად, რძის პროდუქტების მაგალითზე აგიხსნით. საქართველოში იწარმოება ეს პროდუქტები და გვაქვს რამდენიმე კომპანია, ისინი ქვეყნის გარეთ ყიდულობენ საბაზისო პროდუქციას, რომელზეც აწარმოებენ მერე ამ პროდუქციას. ყიდულობენ ბელორუსში, ლიტვაში... ბელგიაში 2 ლიტრი რძე ღირს 55 ცენტი, ამ დროს კი, საქართველოში იგივე 2 ლიტრა ქართული რძე ღირს 3 ლარი და 20 თეთრი. ამიტომ ხვალ რომ მოინდომებს ვინმე და შემოიტანს რძეს, არაჟანს, ყველეულს და ხაჭოს, ადგილობრივი ბაზარი წაილეკება, რომელიც ისედაც ძლივს სუნთქავს.

ახლა გაიხსნა ქართული პროდუქციის გამოფენა, წადით, ნახეთ. ამას ორგანიზებას უწევს „პროკრედიტ ბაკი“, იგივე რეკლამა აქვს „თიბისი ბანკს“, რომელიც ამბობს, თუ აპირებთ ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის გატანას, გვერდით დაგიდგებითო, ეს წმინდა წყლის პოლიტიკური რეკლამაა. არც ერთი მეწარმე არაა მზად, არ შეუსწავლია ევროკავშირის ბაზარი და არ იცის ასოცირების ხელშეკრულების პუნქტები, ამიტომ უბრალოდ აქვს იმედი, მაგრამ არ იცის, მოიკიდებს თუ არა იმ ბაზარზე ფეხს. კიდევ ვიმეორებ, 28 სახეობის პროდუქციაზე უკვე გვაქვს გადასახდელი, ეს იმას ნიშნავს, რომ არაპარიტეტულ რეჟიმში ვართ, ეს არ არის ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულება, რაზეც აქცენტს აკეთებენ ხელისუფლებაში. პარიტეტი არ მაქვს და როგორ მეღირება გულაბი მსხლის გატანა ლონდონის ბაზარზე?

**— ამდენი ცუდის მერე რამე კარგიც მითხარით, დადებითი არაფერი შეგხვდათ მაგ ხელშეკრულებაში?**

– ხელშეკრულება, როგორც პოლიტიკური დოკუმენტი, არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს არ ემსახურება გლობალურ ქართულ ინტერესებს. ჩემთვის ამ დოკუმენტის რაიმე დადებით კონტექსტში წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან ჩემთვის მთავარია, იქმნებოდეს ისეთი დოკუმენტი, რომელიც რიგით ქართველს უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს.



**„ბაზრის დაცვის მექანიზმი ჩაიდო ამ ხელშეკრულებაში. ახლა ვითხოვ, ადგნენ და განგვიმარტონ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ის მუხლები, რაზეც მე ვამახვილებ ყურადღებას, ეს არის კერძოდ, მესამე მუხლი. როგორ უნდა გაიგოს ეს მესამე მუხლი მეწარმემ და გლეხმა, ეს ახსნან“**







**„გვაქვს რამდენიმე კომპანია, ისინი ქვეყნის გარეთ ყიდულობენ საბაზისო პროდუქციას, რომელზეც აწარმოებენ მერე ამ პროდუქციას. ყიდულობენ ბელორუსში, ლიტვაში... ბელგიაში 2 ლიტრი რძე ღირს 55 ცენტი, ამ დროს კი, საქართველოში იგივე 2 ლიტრი ქართული რძე ღირს 3 ლარი და 20 თეთრი. ამიტომ ხვალ რომ მოინდომებს ვინმე და შემოიტანს რძეს, არაჟანს, ყველეულსა და ხაჭოს, ადგილობრივი ბაზარი წაილეკება, რომელიც ისედაც ძლივს სუნთქავს“**




ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ მეორე ტურში არც ერთ კანდიდატს არ უჭერს მხარს



„თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ მეორე ტურში მხარს არც „ქართული ოცნების“ და არც „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს არ უჭერს.

„ქართულმა ოცნებამ“ სრულად შეინარჩუნა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილი არადემოკრატიული და უსამართლო საარჩევნო სისტემა და ხმების მოპარვისა და გაყალბების მექანიზმები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა. არც ხელისუფლებამ და არც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყურად არ იღო პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციების არაერთი მოწოდება დაფიქსირებული საეჭვო გარემოებების გამო მთელი რიგი უბნების ხელახლა გადათვლის თაობაზე.

რეალურად, ეს არჩევნები წარმოადგენს კორუფციულ ჯგუფებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებას.

ეს ვითარება არ გვიქმნის არანაირ მოტივაციას მეორე ტურში რომელიმე პოლიტიკური ძალის კანდიდატის სასარგებლოდ მივიდეთ საარჩევნო უბნებზე და დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია. ჩვენი ბლოკი არ აპირებს ამ ფარსში მონაწილეობას“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## იური ვაზაგაშვილმა და ამირან რობაქიძემ რუსთაველებს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერისკენ მოუწოდეს




რუსთავში წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლეს“ და „თანადგომის“ წარმომადგენლები სპეციალური ბრიფინგით გამოეხმაურნენ.

„რუსთავი საქართველოში ერთადერთი ქალაქია, სადაც მოსახლეობას უღალატეს მერობის იმ კანდიდატებმა, რომელთაც არჩევნებში ვერ გაიმარჯვეს, წავიდნენ და „ნაცმოძრაობის“ კანდიდატს დაუდგნენ გვერდზე. ეს სამარცხვინოა. როცა განაწყენებულია ადამიანი, არ შეიძლება წავიდეს და მტრის გვერდზე დადგეს. შემირცხვენია მასეთი ადამიანები, ეს არის რუსთაველებისა და მთელი საქართველოს შეურაცხყოფა. მეც ვარ სერიოზულად განაწყენებული „ქართულ ოცნებაზე“, მაგრამ ნურას უკაცრავად, დღეს ქვეყანას სჭირდება, რომ, სადაც „ნაცმოძრაობისა“ და „ოცნების“ კანდიდატებია, იქ „ოცნებას“ ვუჭერთ მხარს, ხოლო სხვაგან, სადაც სხვა ოპოზიციური პარტიების კანდიდატებია, მათ ვუჭერთ მხარს. ჩვენ გუშინაც გავაკეთეთ მსგავსი მოწოდება და ამავეს მოუწოდებთ რუსთაველებს“, – განაცხადა იური ვაზაგაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## რუსულმა ვერტმფრენმა კიდევ ორ სოფელს გადაუფრინა



სოფელ ფლავისა და ფლავისმანის შემდეგ რუსულმა სამხედრო ვერტმფრენმა გორისა და კასპის რაიონის ორ სოფელს გადაუფრინა.

მეჯვრისხევისა და საკორინთლოს თავზე რუსული ვერტმფრენი დაახლოებით 11:00 საათზე გამოჩნდა.

ადგილობრივები ექვობენ, რომ ვერტმფრენმა სოფლებს პატრულირების მიზნით გადაუფრინა.

აღნიშნულ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ადასტურებენ. როგორც უწყებაში აცხადებენ, რუსული სამხედრო ვერტმფრენი 11:00 საათზე შემოფრინდა და მეჯვრისხევს და საკორინთლოს გადაუფრინა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რას პასუხობს კულტურის სამინისტრო გიორგი შენგელაიას, „ალიაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუზე...



„სამწუხაროდ, ჩემსა და ჩემს კოლეგებს შორის კონსესუსი არ შედგა, გამომიჩნდნენ მოწინააღმდეგეები, წერილის პათოსი არ მოეწონათ, მაინც მინისტრები არიან, დავიცადოთო. ამიტომ გავაგზავნე მეორე წერილი საკუთარი სახელით. მათ ახლა მიუმართავთ, ჩვენ სხვანაირად ვფიქრობთო“

8 ივლისის „ალიაში“ გამოვაქვეყნეთ გიორგი შენგელაიას ინტერვიუ სათაურით: „გიორგი შენგელაია გურამ ოდიშარიას ომს უცხადებს!“ სადაც ცნობილი კინორეჟისორი პროტესტს გამოთქვამდა ახლად შექმნილი სამთავრობო კომისიის მიმართ, რომელმაც უახლოეს ხანში უნდა გადაწყვიტოს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბედი, ანუ ეს ორგანიზაცია გადაიტანონ, ან არ გადაიტანონ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან კულტურის სამინისტროს ბალანსზე. შენგელაიას თქმით, ის მინისტრები (მაია ფანჯიკიძე, ნოდარ ხადური, კოტე სურგულაძე, გურამ ოდიშარია, გიორგი კვირიკაშვილი), რომლებიც კომისიაში შეიყვანეს, ქართული კინოს ბედს ვერ გადაწყვეტენ, რადგან არ გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია. ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან სამ დღეში კულტურის სამინისტრო ასეთი სახის პასუხს ავრცელებს (გთავაზობთ შემცირებულ ვარიანტს):

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა ქართული კინოს განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება. კომისიის რამდენიმე სამუშაო შეხვედრის შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა კრიტიკული ინტერვიუ რეჟისორ გიორგი შენგელაიასთან, სადაც ის რამდენიმე უსაფუძვლო ბრალდებას აქვეყნებს კულტურის მინისტრის მიმართ და უნდობლობას უცხადებს ქართული კინოს განვითარების ხელშეწყობის სამთავრობო კომისიას. გარდა ამისა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შემოვიდა განცხადება-მიმართვა, სადაც „ქართული ფილმის“ თანამშრომლების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი შენგელაიამ, კინოსტუდიის თანამშრომლების სახელით, ოფიციალურად დააფიქსირა „კომისიის აცილება“ და კომპეტენცია დაუწუნა. გაუგებარია, რატომ საუბრობს რეჟისორი გიორგი შენგელაია სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მაშინ, როცა თავად საბჭოს წევრები მიმართავენ სამთავრობო კომისიას, რომ გიორგი შენგელაიას წერილი მსჯელობის საგანი არ გახადოს, კომისიას უცხადებენ ნდობას, მისგან ელიან კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებს და მზადყოფნას აცხადებენ თანამშრომლობისთვის.



„ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ გაუჩნდა რეჟისორ გიორგი შენგელაიას ასეთი განცხადების დაწერის სურვილი, როცა სწორედ ის იყო პირველი კინემატოგრაფისტი, ვისაც თანამშრომლობისთვის კომისიამ შექმნისთანავე მიმართა“

ჩვენთვის ასევე გაუგებარია ისიც, რატომ გაუჩნდა რეჟისორ გიორგი შენგელაიას ასეთი განცხადების დაწერის სურვილი, როცა სწორედ ის იყო პირველი კინემატოგრაფისტი, ვისაც თანამშრომლობისთვის კომისიამ შექმნისთანავე მიმართა. კინოსტუდიის ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა, თუმცა ის არასოდეს შემოდიოდა კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში. სამუშაო პროცესი გამჭვირვალეა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. დასანანია ასევე, გიორგი შენგელაიას სტატიაში გამოთქმული პრეტენზიები ახალგაზრდა რეჟისორების მისამართითაც, როცა მათ შემოქმედებას უწუნებს; დასანანია, რომ ასეთ სახელოვან რეჟისორს არ სურს დაინახოს ის სასიკეთო ნაბიჯები, რომელიც „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ მიერ გადაიდგა. ქართული კინემატოგრაფის მომავალი უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიოს სტანდარტებს, ეყრდნობოდეს სწორ ორიენტირებს და სამუდამოდ დასრულდეს „საბჭოური“ დამოკიდებულება, როცა ერთპიროვნულად წყდებოდა შემოქმედთა დაფინანსების ბედი“.

**როგორც გიორგი შენგელაია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, მან სამთავრობო კომისიაში ორჯერ გაგზავნა წერილი, პირველი სამეთვალყურეო საბჭოს სახელით, მეორე — საკუთარი სახელით:**

– სამწუხაროდ, ჩემსა და ჩემს კოლეგებს შორის კონსენსუსი არ შედგა, გამომიჩნდნენ მოწინააღმდეგეები, წერილის პათოსი არ მოეწონათ, მაინც მინისტრები არიან, დავიცადოთო. ამიტომ გავაგზავნე მეორე წერილი საკუთარი სახელით. მათ ახლა მიუმართავთ, ჩვენ სხვანაირად ვფიქრობთო. მე რას ვითხოვ, კინოს საკითხი არ უნდა განიხილონ დიასპორისა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

**— ესე იგი, გამოდის, თქვენ მოწინააღმდეგეები შიგნითვე გყავთ, მათ რომ კულტურის სამინისტროში წერილი გაგზავნეს, ამის შესახებ იცოდით?**

– არა, არ ვიცოდი, ამ საქმეში შეეშალათ. როცა მე დავწერე, ყველას დავუძახე და გავაცანი, კარგი იქნებოდა, ისინიც ასე მოქცეულიყვნენ. მე ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს შორის კონფლიქტია, მაგრამ შეეშალათ.

**— კულტურის სამინისტროს განცხადებაში წერია, რომ მათ თქვენ მოგმართეს სათანამშრომლოდ.**

– მომმართეს, თქვენი აზრი გამოთქვითო და მეც გამოვთქვი, ამ კომისიას არ ვთვლი კომპეტენტურად. პირდაპირ გეტყვი, რამდენიმე მინისტრს უთქვამს, ამ საკითხში ვერ ვერკვევით და სპეციალისტებს მისწერეთ, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვანო. ახლა იქ შევა 750 წერილი, ვინ წაიკითხავს?

**— ხადური დაჯდება და წაიკითხავს.**

– რომ იძახიან შეხვედრები შედგაო, ესეც არ არის მართალი, ერთხელ შეიკრიბნენ, ხან ფანჯიკიძეა წასული სადღაც, ხან კვირიკაშვილი, ხან კიდევ ხადური, კინოსთვის სად სცალიათ? არ ვიცი, რაც უნდათ, ის გააკეთონ.

**— ახლა რას აპირებთ?**

– არაფერსაც არ ვაპირებ, მე ისევ ჩემს აზრზე ვრჩები!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...




## გვიან ღამით თბილისში მაღაზია გაქურდეს

9 ივლისს ღამით, თბილისში, ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა გადასასვლელში ერთ-ერთი სასურსათო მაღაზია გაქურდეს. მაღაზიის გამყიდველის განცხადებით, წაღებულია დაახლოებით 50 ლარი და სხვადასხვა სურსათი.

როგორც დაზარალებულმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ეს პირველი შემთხვევა არ არის და რამდენიმე დღის წინ იმავე მიწისქვეშა გადასასვლელში სხვა მაღაზიაც გაიქურდა. (ნიუპოსტი)

## მეტრო „ახმეტელთან“ მანქანა ამობრუნდა



თბილისში, ახმეტელის მეტროსთან „ჰონდას“ მარკის მსუბუქი ავტომობილი ამობრუნდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შემთხვევის შედეგად სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო ავტომობილის მძღოლმა.

ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე შესაძლოა, გიორგი ალიბეგაშვილი გახდეს



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი ალიბეგაშვილის კანდიდატურა განიხილება.

გიორგი ალიბეგაშვილი პროფესორია და კოალიციის საარჩევნო სიაში მესამე ნომერი იყო, წარდგენილია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ.

თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა 14 ივლისს გაიმართება, სადაც ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ. (ინტერპრესნიუსი)

## „უგულავა თაბუკაშვილზე დანგრეულ სახლს დღემდე ნანობს“



პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატმა ნიკა მელიამ თაბუკაშვილის ქუჩაზე იმ საცხოვრებელი სახლის შესახებ ისაუბრა, რომლის დანგრევაც საზოგადოებამ პირდაპირ ეთერში იხილა.

„სამწუხაროდ ეს იყო აბსოლუტურად მიუღებელი, ეს იყო ერთ-ერთი დიდი შეცდომა და მე ამის შესახებ გიგი უგულავასთან პრივატულად მისაუბრია და ზუსტად ვიცი, რომ ის ამას ძალიან ნანობდა. რა თქმა უნდა, ეს იყო შეცდომა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ფორმა იყო მიუღებელი, რა ფორმითაც ეს ხალხი იქნა გამოსახლებული, თორემ სხვაგვარად იქ მაცხოვრებელი ხალხი დღეს ცხოვრობს რუსთაველის გამზირზე, პირველი სკოლის უკან, ახალ აშენებულ შენობაში. ფორმა, რა ფორმითაც მათ მოექცნენ, იყო მიუღებელი და მე ზუსტად ვიცი, რომ გიგი უგულავა ამას ნამდვილად ნანობს“, – განაცხადა მელიამ. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## ნიკა ქავთარაძე: არჩევნების დღეს „თბილისი მეძავი“ 69%-იან ფასდაკლებას გთავაზობთ!!!



პროფესიული თვალით გადამოწმების შემდეგ, მიიღებს მინეტს 69%-იანი ფასდაკლებით... – ნიკა ქავთარაძე.

იუმორისტი ნიკა ქავთარაძე საარჩევნო დღეს ფასდაკლების გამოცხადების ინიციატივას სოციალური ქსელის მეშვეობით ეხმაურება.

„სააქციო საზოგადოება „თბილისის მეძავი“ გთავაზობთ სპეციალურ შემოთავაზებას! მხოლოდ ერთი დღით! მხოლოდ 12 ივლისს! მხოლოდ ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურისას!

ყველას, ვინც მოახერხებს საარჩევნო უბნებზე მარკირების სითხე დაასხმევინოს ჭუჭუკებზე, შეეძლება მობრძანდეს ჩვენთან და პროფესიული თვალით გადამოწმების შემდეგ, მიიღებს მინეტს 69%-იანი ფასდაკლებით“, – წერს ნიკა ქავთარაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*newposts.ge*

## მარიამ კუბლაშვილი ოჯახურ ტრადიციებს არღვევს და საცურაო კოსტიუმში გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეოთხე სეზონის გამარჯვებულმა მარიამ კუბლაშვილმა „ფეისბუკზე“ საცურაო კოსტიუმში გადაღებულ ფოტო გამოაქვეყნა. ფოტოზე ადვოკატი და ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, მოცეკვავე, უზადლოდ გამოიყურება. თუმცა ცოტა გაუგებარია ამ შემთხვევაში მარიამის „გაბედულება“.

ცნობილია, რომ მისი ოჯახი ტრადიციებს მკაცრად იცავს. მარიამის დედა – მზია მაჩალიკაშვილი „რეიტინგთან“ ინტერვიუში ყვებოდა, რომ, როდესაც მარიამმა პროექტში „კაბარე“ იცეკვა, იმდენად შოკირებული იყო, რომ დანა პირს არ უხსნიდა.

თურმე სირცხვილით ქალბატონი მზია ახმეტაშიც კი ვერ ჩავიდა.

– მე მაქვს პრეტენზია არა როგორც დედას, არამედ როგორც ქართველს. ჩვენ ყველანი კავკასიელები ვართ და ჩვენი თვითმყოფადობა უნდა შევინარჩუნოთო, – ამბობდა მარიამის დედა.

სავარაუდოდ, მარიამის დედას თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის არც შვილის საცურაო კოსტიუმში გადაღებული ფოტო მოეწონება.

*reitingi.ge*

## ნინა და იასენია ევროპაში ერთად ისვენებენ

მომღერალი გოგონა აფხაზეთიდან – იასენია არახამია მაყურებელმა „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გაიცნო. იასენია კარგად ცეკვავდა. მასზე პროექტის დაწყებისთანავე ამბობდნენ, რომ მოიგებდა, რადგან წარმოშობით აფხაზეთიდან იყო.





საქართველოში ხომ მსგავსი პიარით, დაკარგული კუთხის შვილობით, რეალითი შოუს გამარჯვებულები ხშირად ხდებოდნენ. თუმცა პროგნოზმა ამჯერად არ გაამართლა. იასენია პროექტს ფინალამდე გამოეთიშა.



ამბობდნენ, რომ ძალიან განაწყენდა, მაგრამ უკმაყოფილება ეთერში არ გამოუთქვამს. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალში იმღერა და მისთვის განკუთვნილი საჩუქარი მეწყვილეს – ლევან ახვლედიანს დაუთმო.

პროექტის დასრულების შემდეგ იასენია ნინა წკრიალაშვილთან ერთად ევროპაში გაემგზავრა. იასენიამ საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდზე ნინასთან ერთად გადაღებული ფოტოები გამოაქვეყნა და დაწერა, რომ პარიზში გამგზავრებამდე ვარშავაში არაჩვეულებრივად ერთობოდა.

მოგვიანებით სოციალურ ქსელში იასენიამ და ნინამ პარიზში გადაღებული ფოტოებიც გამოაქვეყნეს.

*reitingi.ge*

## „ეს რითია „ცოცხებით წამებაზე“ უკეთესი?“ – დუნდულებზე შესრულებულ აჭარულს „ფეისბუკში“ მწვავე გამოხმაურება მოჰყვა



ტელეკომპანია „ჯიდიესის“ გადაცემა „ბინა 18“-ის ეთერში გოგონების დუნდულებზე შესრულებულ აჭარულს სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კომენტარების სრული უმრავლესობა უარყოფითი და კრიტიკული შინაარსისაა.

ირაკლი ვაჭარაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელი: „ეს რა არის? რა არხია? გაგიჟებული ვარ. ასეთი ცუდი რამე არც ერთ ტელევიზიას არ უქნია ჯერ!“

ნინო დანელია, მედიაექსპერტი: „ვაიმე! ეს რას ჰგავს? უნდა ვუჩივლოთ აუცილებლად!“

თამარა გურჩიანი, უფლებადამცველი: „აი, ეს იქნება ამ ტელევიზიის დასასრული! ფულით ვერ აანაზღაურებენ იმ ზიანს, რაც, პირველ რიგში, საკუთარ თავს მიაყენეს. მრცხვენია, რომ ეს ღორობა ჩემს ქვეყანაში ხდება. ამ სიტყვას პირველად ვიყენებ საჯარო სივრცეში, რადგან აქამდე გული არ ამრევია ჩემი ქვეყნის მოქალაქეებზე!! ღორობა!!!“



ნინო მელაძე: „მოკლედ, საზოგადოების დიდ ნაწილს მწვავე სექსუალური პრობლემა აქვს ყველაფერთან ერთად:))))“

ზურაბ ტატანაშვილი: „ნეტა რამდენს წაართმევს ქართველობას ეს? თუ ვცდები და ქართველი კდემამოსილი დედის იმიჯში ეს ყველაფერი ძალიან ნატურალურად ჯდება?! ნეტა იაკობ მრისხანე რას იტყვის ამაზე?“

კატნის მაღრაძე: „ხელის მოჭრა უნდა შემოიღო, ოღონდ დამშეული პატარა ბავშვები კი არ უნდა დასაჯო, რომელმაც პური მოიპარა მაღაზიაში, აი, ესენი უნდა დასაჯო, ყველა ვაფშე. ეგეც შენი ქართველობა, დემოკრატია, თანასწორობა და ტრადიციები, მთელი აჯაფსანდალი ერთად. გული მერევა, რა“.

ირა ბერიძე: „ეს სიმახინჯე კი არა, ადამიანების საჯარო დამცირების უკიდურესი ფორმაა!!! აუცილებლად უნდა მოჰყვეს შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან გამოხმაურება ამ გაუგონარ ფაქტს!“

გოგი გვახარია, კინოკრიტიკოსი: „ეს რითია „ცოცხებით წამებაზე“ უკეთესი? და ამაზე რატომ არ გვაქვს რეაქცია?“

ლევან ვიშეზ: „ამაზე იქნებოდა რეაქცია, ოღონდ ცალი ხელით“.

*ambebi.ge*

## ვინ გამოიჭირა ნინა „ძონძების მაღაზიაში“



საქართველოში მეორადი ტანსაცმელები პოპულარობით სარგებლობს. „სექენდ ჰენდში“ ცნობილი ადამიანებიც ხშირად დადიან და ამის შესახებ თავადაც არაერთხელ უსაუბრიათ.

ერთ-ერთი მათგანი, ვინც სამოსის მეორადებში შეძენას არ ერიდება, ნინა წკრიალაშვილია.

ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომელიც სატელევიზიო შოუში „ორი ვარსკვლავი“ ნინა წკრიალაშვილის პარტნიორი იყო, ნინას ფოტოები სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

*pia.ge*

## „მე შაირი არ მინდოდა, შენ ამტეხე ძალადაო“...



ასე ეხმაურება ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერია თბილისის მერობის „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ოცნების“ კანდიდატების, ნიკა მელიასა და დავით ნარმანიას სატელევიზიო დებატებს.

– მე შაირი არ მინდოდა, შენ ამტეხე ძალადაო... – უთხრა ნარმანიამ მელიას და 30 კალათაც „ჩაუტარა“ პირდაპირ ეთერში. ჭირი იქა, ლხინი აქაააა, – წერს ხოფერია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*



– მამიკო, სპილოებმა ცოტა კიდევ ირბინონ, რა...
– დაიღალნენ სპილოები, ჩემო პატარა.
– აუ, ძალიან გთხოვ, რა...
– კარგი, ამ ერთხელაც... ოცეულო! სწორდი! დაიმა-გრეთ აირბინალები!..

*****

– შვილო, მე და დედიკოს შენთვის საჩუქარი გვაქვს – შემოდგომაზე ძმა გეყოლება!
– ოოო, ისევ უშვებენ იმ დებილს ციხიდან, არა?!

*****

– სამტრედიამდე ბილეთი გაქვთ?
– დიახ, გვაქვს.
– ზედა დასაწოლი მინდა, ტუალეტთან ახლოს, გამოვა რამე?
– კი, როგორ არა.
– ჰო, კიდევ ერთი – წელან ბოშებმა იყიდეს ბილეთები და იქნებ, მათ ვაგონში მომახ-ვედროთ.
– არ არის პრობლემა. თან იმ ვაგონით ახალწვეულებიც იმგზავრებენ.
– მომეცით, ზუსტად ის არის, რაც მე მინდოდა!..
გადაიხადა ბილეთის ფული, დაბრუნდა სახლში, ცოლი ეკითხება:
– რა ქენი, ძვირფასო, იყ-იდე დედაჩემისთვის ბილეთი?
– ვიყიდე, მაგრამ ვერ წარ-მოიდგენ, როგორ ვიწვალე – ბოლო ბილეთი ძლივს შემხვ-და!..

*****

საბავშვო ბაღიდან კოტემ სახლში სხვისი მანქანა მოი-ტანა. მამა ეკითხება:
– საიდან ეს მანქანა?
– ა, ესა? ჟუჟიკოს გა-ვუცვალე.
– ჟუჟიკომ მანქანა მოგცა, შენ რა მიეცი?
– მუშტი ცხვირში...

*****



მუზეუმში ერთმანეთს ორი გეი შეხვდა. ერთი მეორეს:
– იცი, ძვირფასო, ამბობენ, რომ ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზა სინამდვილეში მა-მაკაცია.
– მართლა? მეც ვუყურებ და ვფიქრობ: თითქოს ქალია, არადა, როგორ მილიმის...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ცნობილი ადამიანების ყველაზე სულელური გამონათქვამები




მოგეხსენებათ, სი-ტყვა ქვასავითაა და მისი უკან დაბრუნება, აბა, როგორ მოხერხდე-ბა? ერთი კია, ვისაც ქვას ესვრი, თუ გადარ-ჩა, მტკივნეულ პასუხს აუცილებლად უნდა დაელოდო.

ჰოდა, როცა ცნო-ბილი ადამიანი ხარ და ლამის მთელი მსოფ-ლიო გაკვირდება, რას იტყვი და როგორ იტყვი, თუ რაიმე სულელური წამოგცდა, პასუხს ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა დაელოდო, რომელიც ფიზიკურს არა, მაგრამ მორალურ-ფსიქოლოგიურ ტკივილს ნამდვილად გამოიწვევს.



ბრიტანულმა მედიამ ცნობილი ადამიანების ყვე-ლაზე დაუფიქრებელი და სულელური გამონათქვამე-ბი მოიძია, რომელთაგან შედარებით ყველაზე სახალ-ისოებს ჩვენც შემოგთავაზებთ:

– ნეტავ, სად ჩატარდება წელს კანის კინოფესტი-ვალი? – კრისტინა აგილერა.

– მიმაჩნია, რომ ერთსქესიანი ქორწინება უნდა იყოს კავშირი, რომელიც მამაკაცსა და ქალს შორის დამყარდება. – არნოლდ შვარცენეგერი.

– მაქვს საკუთარი მოსაზრებები, ძალიან მყარი და მტკიცე მოსაზრებები, მაგრამ მათ ყოველთვის არ ვეთ-ანხმები. – ჯორჯ ბუში უმცროსი.



– ანორექსიით დაავადებული არ ვარ. მე ტენსაიდან ვარ და აბა, ტენ-საში ცხოვრობენ ანორექსიის მქონე ადამიანები? არასოდეს ასეთი რამ არ გამიგია. ჰოდა, ავადმყოფი არ ვარ. ჯესიკა სიმპსონი.

– მოწევა კლავს. ხოლო როცა მკვ-დარი ხარ, საკუთარი სიცოცხლის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს კარ-გავ. – ბრუკ შილდსი.

– ასეთი ღამიანი ღმერთმა გამაჩინა. სილამაზე რომ არ მქონოდა, აუცილე-ბლად სკოლის მასწავლებელი ვიქნებოდი. – ლინდა ევანგელისტა.

– მხატვრული ლიტერატურა შესანიშნავია. შესაძლებელია გამოიგონო თითქ-მის ყველაფერი, რაც მოგესურვება. – ივანკა ტრამპი.



– ჰოლოკოსტი ჩვენი ერის ისტორიის საშინელი პერიოდი იყო. მხედველობაში მაქვს ჩვენი საუკუ-ნის ისტორიაში. მაგრამ ყველა ცხოვრობდა ამ საუკუნეში. მე არ ვცხოვრობდი ამ საუკუნეში. – დენ კუეილი, ამერიკის 44-ე ვიცე-პრეზიდენტი.

– როცა ტელევიზორს ვუყურებ და ლარიბ, მში-ერ ბავშვებს ვხედავ, ცრემლებს ვერ ვიკავებ. მეც მინდა, ასეთი გამხდარი ვიყო, ოღონდაც არა ასეთი ტანჯვით. – მერაია ქერი.

– ყველაზე საუკეთესოდ თავს მაშინ ვგრძნობ, როცა ბედნიერი ვარ. – ვაინონა რაიდერი.

– ძალიან ბევრ ადგილას მიწევს გამგზავრება ოკეანის მიღმა, მაგალითად, კანადაში; არასოდეს მომდომებია იაპონიაში ჩასვლა. იმიტომ, რომ თევზი არ მიყვარს. ვიცი, რომ თევზი ძალიან პოპულარულია იქ, აფრიკაში. – ბრიტნი სპირ-სი.

**prochitano.ru**

## ავტოპილოტის გამო, პილოტებს თვითმფრინავების მართვა დაავიწყდათო

„ქიფკია, პრიბორი", „20", „რაის ოცი?" „აბა, რაის პრიბორი, შე შო-ბელძაღლო?!"..



აი, დაახლოებით ასეთ სიტუა-ციაში ყოფილან თანამედროვე პი-ლოტები, რომლებსაც ასობით და ათასობით ადამიანის სიცოცხლე აბარიათ რეისების შესრულებისას.

საჰაერო ტრანსპორტის საერთა-შორისო ასოციაციის წარმომადგენ-ლების მტკიცებით, მართვის სრუ-ლად ავტომატიზებული სისტემებ-ის გამო, პილოტებს თვითმფრი-ნავების ხელით მართვა ავიწყდებათ.

ალნიშნულ ორგანიზაციაში იმასაც ამბობენ, რომ არცთუ იშვიათად პილოტებმა არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ რთულ სიტუაციებში.

– უკანასკნელი 5 წლის მანძილზე პილოტების უცოდინრობამ ასეულობით ადამიანის სიკვდილი გამოიწვია, – ვკითხულობთ ასოციაციის დასკვნაში.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, საქმე ისაა, რომ განა თავად პილოტებს ეზარებათ ან არ უნდათ, ხომალდები ხელით მართონ, ბევრი ავიაკომპანია, უბრალოდ, მათ უკრძალავს ავტოპილოტის გათიშვას.

სწორედ ამიტომ, მცირე ხარვეზი ან ავტომატური სისტემის მწყობრიდან გა-მოსვლა პილოტებს აბნევს, რაც ხშირად ტრაგიკული შედეგებით მთავრდება.

**km.ru**

## სამსახურში მისვლის ყველაზე მავნე საშუალება... ავტომობილი?



სიმართლე გითხრათ, ძალიან გაგვიკვირდა, რატომ უნდა იყოს ავტო-მობილით სამსახურში მისვლა ჯანმრთელო-ბისთვის საზიანო? აბა, ყვითელი „მარშრუტკე-ბი" ჯობია, რომლებიც კვლავაც გადატვირთულია ხოლმე და თუ დაჯდომა გეღირსა, ვილაცის საჯ-დომის ყურება ნამდ-ვილად არ აგცდება?!

შვედი მეცნიერები შეეცადნენ, დაედგინათ, სამსახურში მისვლის რომელი საშუალება როგორ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, შრომისუ-ნარიანობასა და პირად ცხოვრებაზე.

ფეხით და ველოსიპედით სიარული გასაგები მიზეზების გამო, ყველაზე სასარგებლო აღმოჩნდა, მაგრამ რომელი ტრანსპორტია უფრო მავნე?

კვლევაში 18-დან 65 წლის ასაკამდე დაახლოებით 21 ათასი ადამიანი იყო ჩართული, რომლებიც კვირაში 30 საათზე მეტხანს მუშაობენ.

აღმოჩნდა, რომ, თუკი არჩევანი საზოგადოებრივ და პირად ტრანსპორტზე მიდგება, პირველი გაცილებით ნაკლებად საზიანოა, რადგან იმდენად დიდ დაძაბულობასა და სტრესს არ იწვევს.

საერთო ჯამში, ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივ ტრანსპორტს საკ-უთარ ავტომობილს არჩევენ, გაცილებით ცუდად სძინავთ, უფრო ადვილად იღლებიან და ღიზიანდებიან.

**bienhealth.com**

## მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საყვარელი მუსიკა სისხლს აუმჯობესებს



ზოგადად, მუსიკა რომ დადებითად მო-ქმედებს ადამიანზე, ეს ფაქტი დიდი ხანია ცნო-ბილია და სხვადასხვა მიმართულებით ჩატარე-ბული კვლევების შედე-გების შესახებ ჩვენც მოგვიყოლია.

ამ შემთხვევაში სიახ-ლის ავტორები ბრიტ-ანელი მეცნიერები არი-ან, რომლებმაც სულ ახ-ლახან დაამტკიცეს, რომ საყვარელი მუსიკის მოსმენით, ადამიანს სისხლის შემადგენლობის გაუმ-ჯობესება შეუძლია. და საერთოდაც, საყვარელი კომპოზიციების მოსმენა უდიდეს დადებით გავლენას ახდენს სისხლძარღვთა მთელ სისტემაზე.

კვლევის ფარგლებში მეცნიერები რამდენიმე ასეულ ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ, რომელთა მინიმალური ასაკი 36 წელი გახლდათ.

აღმოჩნდა, რომ საყვარელი მუსიკის მოსმენისას, სისხლძარღვებს 26 პრო-ცენტით ფართოვდებოდა. ასევე, ხდებოდა სისხლში აზოტის მჟავის კონცენ-ტრაციის გაზრდა.

სპეციალისტების განმარტებით, სწორედ ალნიშნულ ნივთიერებას შეუძლია თრომბების გაჩენის რისკის შემცირება, ქოლესტერინის დონის კონტროლი და ასე შემდეგ.

**flitnews.com**

## ღვინო მამაკაცებზე დიეტასავით მოქმედებსო

გადასარევი ინფორმაციაა, რას იტყვით, ძვირფასო მამაკაცებო?



სხვათა შორის, სიახლე ლამის მთელმა ამერიკულმა მედიამ აიტა-ცა, დაწყებული ტელევიზიებით და დამთავრებული ბეჭდური მედიით.

კონტინენტსგამღმელების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მართალია, წითელი ღვინო ზედმეტი წონის დაგდებაზე გავ-ლენას ვერ ახდენს, მაგრამ სამგა-იეროდ, ამცირებს სისხლში შაქრის დონეს, ეხმარება წნევის დარეგუ-ლირებას და ღვიძლში ცხიმების რაოდენობასაც ამცირებს. გარდა ამისა, ალკოჰოლურ სასმელში შე-მავალი ნივთიერებები ორგა-ნიზმზე თავიანთი ზემოქმედებით, სპეციალისტებს დაბალკალორიულ დიეტას აგონებს.

ექსპერიმენტების 30 დღის მანძილზე 11 ჭარბწონიანი მოხალისე საკვებ დანამატს ილებდა, რომელიც 99-პროცენტიანი სიხშირის 150 მილიგრამ ტრანს-რესვერატროლს შეიცავდა.

სპეციალისტები ცდილობდნენ, დაედგინათ, რამდენ ენერგიას ხარჯავდ-ნენ მოხალისეები, რა რაოდენობით ცხიმი იღექნებოდა და იწვებოდა ორგა-ნიზმის მიერ.

შედეგების გაანალიზებით აღმოჩნდა, რომ რესვერატროლი აუმჯობესებს მეტაბოლიზმს და ასევე, სისხლსა და წნევას.

**novonews.lv**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

# სკანვორდი







1. ქიმიური ელემენტი
2. იგივეა, რაც ფინიკი
3. იპოლიტე ხვიჩია ფილმში
4. პოეტი ... მაჭავარიანი
5. ციტრუსის ნაირსახეობა
6. მსახიობი შონ ...
7. ... სჯობია ღონესა
8. რეჟისორი ელდარ ...
9. რევოლუციონერი ... ცეტკინი
10. ყაჩაღი არსენა ...
11. უკრაინის პარლამენტი
12. დასის პირველი მომღერალი ქალი
13. ინგლ. ბუნებისმეტყველი ჩარლზ ...
14. კვაზიმოდოს სატრფო (რომანიდან)
15. ქართული მინერალ. წყალი
16. მსახიობი ... გიბსონი
17. თვითმფრინავების სადგომი
18. თავსაფარი
19. ხილი
20. რაჯ კაპური ფილმში
21. ... მურომეცი
22. ბაშკირეთის დედაქალაქი
23. დათვი რომ მოგერევა, ... დაუძახეო
24. მარიო პიუზოს ნაწარმოები
25. ძილისპირული სიმღერა
26. მსახიობი ... ფოსტერი
27. ექსტრასენსი ... დავითაშვილი
28. მომღერალი მაიკლ ...
29. ვენახის ნეივანი
30. ბომარშე. „... ქორწინება“
31. მსახიობი ლაიზა ...
32. ნელი ტემპი მუსიკაში
33. მგალობელი ფრინველი
34. გულმკერდის ძვალი
35. სპორტ. შეჯიბრების დასაწყისი
36. ხორბლის ყვავილედი
37. სპირტიანი ქურა
38. კომპიუტერული კომპანია თბილისში
39. მარილიანის გემო
40. დახვეული ნამცხვარი
41. რინიტი
42. თანავარსკვლავედი
43. მომღერალი ... ბურჭულაძე
44. „ამბავი ... კოტორაშვილისა“
45. კოცნა
46. ათასწლეული
47. რეჟისორი ... ბერტოლუჩი
48. მწერალი ... გაიდარი
49. რეჟისორი ... სკოლა
50. ... შეჯდა მწყერი ხესა
51. სასოფლო-სამეურნეო იარაღი
52. მთიდან არეკლილი ხმა
53. გემის გვერდი
54. მსახიობი ... დიტრიხი
55. მსახიობი სილვესტერ ...
56. რეჟისორი პედრო ...
57. მიხეილ ბულგაკოვი. „... და მარგარიტა“
58. ღვინის არომატი და სურნელი
59. შავი საიუველირო ქვა
60. რეჟისორი ... სტოუნი
61. მსახიობი ... ბანდერასი
62. მსახიობი ... პელტროუ
63. მსახიობი ... მერფი
64. წუთის მესამოცედი
65. მტაცებელი ფრინველი
66. ბუროლეულუი მცენარე
67. „მონადირე“ ფოტოგრაფი
68. ირმის ნახტომი, როგორც ობიექტი
69. ფიცარი კარების ქვეშ
70. კუნძული ინდონეზიაში
71. ეკალბარდი, ანუ ...
72. ბნელში შემოსული მზის სხივი
73. ყაიმი
74. ქიმიური ნივთიერება
75. ჭიდან წყლის ამოსაღები ძელი
76. ტყის ჩლიქოსანი ცხოველი
77. ესპანელი დიდებული
78. ძერის მსგავსი ფრინველი
79. მეფის სასახლე პარიზთან
80. ინდური ფულის ერთეული
81. ოპერა „აბესალომ და ...“
82. მან აღმოაჩინა პასტერიზაცია
83. ცხელი ქარი აფრიკის უდაბნოში
84. უმცროსი მედპერსონალი
85. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
86. მსახიობი ... რივზი
87. ცხენებშებმული ტრამვაი
88. ჯუჯა ცხენი
89. მოჭიდავე რომან ...
90. მწვანე ადგილი უდაბნოში
91. მხ./ფ. „თოჯინები იცინიან“. შვილიშვილი
92. ხელის საგრილებელი
93. გეომეტრიული ფიგურა
94. მსახიობი ... ჰეჩი
95. დაწმენდილი შაქარი
96. დანის სახელური
97. მწერალი ... მერიმე
98. სამშენებლო მასალა
99. ღორის ბალანი
100. მომღერალი კრისტინა ...
101. მოჭადრაკე ... კასპაროვი
102. იუმორისტი კობა ...
103. სასროლი კოჭი კოჭობანაში
104. ყვავილის ჩასარგავი ჭურჭელი
105. კანის ინფექციური დაავადება
106. რკინის საგანი ცხენის ფლოქვზე
107. ნაზი, სათუთი
108. ... ჰიტლერი
109. რეჟისორი ჯორჯ ...
110. ერთგვარი აბაზანა
111. ჯუზეპე ვერდის ოპერა
112. ავსტრალიის დედაქალაქი
113. გამაჯანსაღებელი ვარჯიშები (ზოგადად)
114. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
115. ჯონი დეპი ფილმში „დონ ...“
116. მსახიობი ... ანჯაფარიძე
117. იგავი
118. შოლოხოვი. „წყნარი ...“
119. კომპოზიტორი ვანო ...
120. სრუტე ...-დე-კალე
121. ახლადმოჭრილი წეპლა
122. სიმღერა ტაძარში
123. ვულკანი იტალიაში
124. მწერალი არტურ კონან ...
125. „... გრანტის შვილები“
126. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
127. თავბრუსხვევა
128. კათიონი და ...
129. განვითარებული მრეწველობა
130. მოდელი ... კემპბელი
131. სოფლის ტრანსპორტი
132. ვიეტნამის დედაქალაქი
133. ცისარტყელას ქალღმერთი (ბერძნ.მით.)
134. ბიბლიური მოსეს ძმა
135. მხ./ფ. „... ვოლოდიევსკი“
136. აფრიკული ტომი
137. „... გინახავს, ვეღარ ნახავ“
138. რაიონი რაჭაში
139. ძვ. თბილისური მიმართვა
140. უილიამ შექსპირი. „... და ჯულიეტა“
141. ა. დიუმა „დედოფალი ...“
142. ძიძა
143. აკაკი წერეთლის ლექსი
144. პატარა ტანის ძაღლი
145. მსახიობი ... გოლდი
146. ნამი
147. ქალაქი აშშ-ში
148. მულტიპლიკატორი ... პოპესკუ გოპო

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. სტადიონი რიოში
2. შეძახილი შრომისას
3. დამპყრობელი ერნან ...
4. ნიანგის სახეობა
5. სიმებიანი საესტრადო ინსტრუმ.
6. მსახიობი ... კრუზი
7. რეჟისორი ... ჰოვარდი
8. თბილისის ძველი უბანი
9. ვიოლინოების ოსტატი ანტონიო ...
10. სოუსი სალათისათვის
11. ბანდის მეთაური
12. ყაზახეთის დედაქალაქი
13. შვედური საესტრადო ანსამბლი
14. მწვანე მინერალი
15. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
16. ქერის პარალელური სიბრტყე
17. ვერცხლისწყლის ნაერთი ლითონთან
18. ებრაული ენა
19. მსახიობი სოფი ...
20. შენობა საწნახ-ლით
21. მხ/ფ „არ აალცდინო ...“
22. ნახატები წიგნში
23. პოეტი ... ბარტო
24. დიდი საოკეანო სამგზავრო გემი
25. მომღერალი ... პიეხა
26. მწვანილი
27. მწერალი ... ლინდგრენი
28. ფედერიკო ფელინის ფილმი
29. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
30. მცენარე, ხდიან ზეთს
31. მაკარონი კოტლეტის გვერდით
32. ძიძა
33. ცისარტყელას ფერი
34. ხრიკი, ანუ ...
35. ჩვენი პლანეტა
36. მწვანილი
37. რენტგენით სურათის გადაღება
38. ფოსფორის ცივი ნათება
39. ოთარ იოსელიანის ფილმი
40. დაბა თიანეთის რაიონში
41. რეჟისორი ალფონსო ...
42. რომის იმპერატორი
43. ქალაქი რაჭაში
44. ის, რაც მეთანს სუნს აძლევს
45. ვიოლინოს ჯოხი
46. სარძევე ჯირკვლების ანთება
47. მდინარე იტალიაში
48. მომღერალი ... ხუციშვილი
49. მხ/ფ „თეთრი ქარავანი“ სპარტაკ ბაღაშვილის გმირი
50. მსახ. ... ჯიგარხანიანი
51. მისი დედაქალაქია რომი
52. მსახიობი ... მერფი
53. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
54. გაუშლელი ყვავილი
55. კერძების ჩამონათვალი
56. „დათა თუთაშხია“ მედუქნ. გოგო
57. ჩემი ... გითხარით
58. მსახიობი ... ვარდალოსი
59. ლანგარი
60. დოსტოევსკის რომანი
61. ანცი
62. სახელმწიფო აზიაში
63. უკრაინული ავტომობილი
64. სოფელი გულრიფშის რაიონში
65. მამაკაცის სასიმღერო ხმა
66. ძაღლის ჯიში
67. კომპოზიტორი მიქაელ ...
68. „ნატვრის ხე“ ჯაჭველიანი
69. ქართ. გლეხის ფეხსაცმელი
70. მევიოლინე ვანესა ...
71. მსახიობი ჯენიფერ ...
72. ჟურნალისტი, აკეთებს რეპორტაჟს
73. ძველი სტილი მოდაში
74. კომპოზიტორი ... პაულსი
75. მეცნიერი მიხეილ ...
76. მსახიობი დრიუ ...
77. ჯარის ნაწილების ცვლა
78. კვერცხის თეთრი შიგთავსი
79. მიმართვა ქალისადმი გერმანიაში
80. მსახიობი ... ბენინგი
81. ერთგვარი ქუდი
82. მარჯნის კუნძული
83. შემწვარი კვერცხი
84. ქვეყნის მატიანე
85. მომღერალი ... ჯორჯი
86. დიდი ჯოხი
87. ორგანული გამხსნელი
88. ჰამბურგერების სახლი
89. პოეტების საკრებული მთა
90. მხ/ფ „თოჯინები ...“
91. ცხენებშებმული ტრამვაი
92. ღია მიშენება შენობაზე
93. ოტელოს ეროვნება
94. მსახიობი ... სპეისეკი
94ა. ტბა პერუში
95. ღმერთი სკანდინ. მითებში
96. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
97. აზრა
98. მით. თხა, მოტყდა რქა
99. სიო
100. სასიმინდე
101. მოჭადრაკე გარი ...
102. ცხენირემი
103. მდინარე სამხ. ამერიკაში
104. კვიპროსის დედაქალაქი
105. მუშათა მოძრაობიდან: დოლორეს ...
106. კურორტი ბორჯომთან
107. ... თათქარიძე
108. ძაღლის ჯიში
109. საჭმელად ვარგისი სოკო
110. რბილი ავეჯი
111. ნაგებობა მდინარეზე
112. მანეთის მესხედი
113. მწერალი სტანისლავ ...
114. ჰომეროსის პოემა
115. ჭამის სურვილი
116. ... ბაბაჯანიანი
117. მწვანილის შეკვრა
118. ... სულაკაური
119. გულიანი ნამცხვარი
120. სხივ. ჭრის ლითონს
121. ვაჟიშვილი
122. მხ/ფ „...-ძა-ძა“
123. სიკაშკაშის ერთეული
124. ავგაროზი
125. რეჟისორი ანჯეი ...
126. ყვავილი
127. მსახიობი სემ ...
128. ჩეხური ფირმის გამათბობელი
129. ტალახი
130. ტანსაცმლის ავეჯი
131. მსახიობი ... ტოტუ
132. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
133. ფუტკრების სახლი
134. ბასკეთის უდიდესი ქალაქი
135. გამოუმშრალი შემა
136. ... ბურთი და ... მოედანი

პასუხები: 1. მარაკანა; 2. ბარაქალა; 3. კორტესი; 4. ალიგატორი; 5. გიტარა; 6. ტომ; 7. რონ; 8. აბანოთუბანი; 9. სტრადივარიუსი; 10. მაიონეზი; 11. ატამანი; 12. ასტანა; 13. „აბბა“; 14. მალაქიტი; 15. სამარა; 16. იატაკი; 17. ამალგამა; 18. ივრითი; 19. მარსო; 20. მარანი; 21. ასუნტა; 22. ილუსტრაცია; 23. აგნია; 24. ლაინერი; 25. ედიტა; 26. ქინძი; 27. ასტრიდ; 28. „ამარკორდი“; 29. ავლიპი; 30. ზეთისხილი; 31. გარნირი; 32. გადია; 33. იისფერი; 34. ოინი; 35. დედამიწა; 36. ოხრახუში; 37. რენტგენი; 38. ლუმინესცენცია; 39. „პასტორალი“; 40. სიონი; 41. არაუ; 42. ნერონი; 43. ონი; 44. ოდორანტი; 45. ხემი; 46. მასტიტი; 47. პო; 48. გიო; 49. მარტია; 50. არმენ; 51. იტალია; 52. ედი; 53. ტატამი; 54. კოკორი; 55. მენიუ; 56. კიკუ; 57. შენ; 58. ნია; 59. სინი; 60. „იდიოტი“; 61. ცელქი; 62. იემენი; 63. „ტავრია“; 64. დრანდა; 65. ბარიტონი; 66. როტვეილერი; 67. ტარივერდიევი; 68. გედია; 69. ქალამანი; 70. მეი; 71. ლოპესი; 72. რეპორტიორი; 73. რეტრო; 74. რაიმონდ; 75. ლომონოსოვი; 76. ბერიმორი; 77. როტაცია; 78. ცილა; 79. ფრაუ; 80. ანეტ; 81. კეპი; 82. ატოლი; 83. ომლეტი; 84. ისტორია; 85. ბოი; 86. კეტი; 87. სკიპიდარი; 88. მაკდონალდსი; 89. პარნასი; 90. იცინიან; 91. კონკა; 92. აივანი; 93. მავრი; 94. სისი; 94ა. ტიტიკაკა; 95. ოდინი; 96. სარაბანდა; 97. ფირნიში; 98. ამალთეა; 99. ნიავი; 100. ნალია; 101. კასპაროვი; 102. ლოსი; 103. ორინოკო; 104. ნიქოზია; 105. იბარური; 106. ლიკანი; 107. ლუარსაბ; 108. სეტერი; 109. მიქლიო; 110. დივანი; 111. რაბი; 112. კაპიკი; 113. ლემი; 114. „ილიადა“; 115. მადა; 116. არნო; 117. კონა; 118. ზაალ; 119. ქადა; 120. ლაზერი; 121. ძე; 122. ქინ; 123. ნიტი; 124. თილისმა; 125. ვაიდა; 126. ია; 127. ნილი; 128. „კარმა“; 129. ლაფი; 130. კარადა; 131. ოდრი; 132. როკ; 133. სკა; 134. ბილბაო; 135. ნედლი; 136. ჰა. იკითხება: კოქტეილი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

თემურ ჭიჭინაძე, ნანა ბუაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

**ზეინაბ ანჯაფარიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ედუარდ შევარდნაძე

**მსოფლიო რანგის პოლიტიკოსი** – ასე იცნობს საერთაშორისო საზოგადოება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

ჩვენ ყურადღებას მისი მოღვაწეობის იმ ეტაპზე გავამახვილებთ, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში 1992 წლიდან დაიწყო. ეს პერიოდი ქართული სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი და ძალიან რთული იყო – ქვეყანა სამოქალაქო ომში ჩათრეული აღმოჩნდა, ყველგან ქაოსი და ანარქია სუფევდა, მოშლილი იყო სახელმწიფო სტრუქტურები და ქვეყანა, ფაქტობრივად, ქუჩიდან იმართებოდა.

მაშინ ქართულმა საღად მოაზროვნე ძალებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს – იმ დროისთვის მოსკოვში მოღვაწე ედუარდ შევარდნაძეს მიმართეს და მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება სთხოვეს. ახლა ხშირად იმეორებენ, რომ შევარდნაძისდროინდელ საქართველოში იყო გაჭირვება, შიმშილი, უშუქობა, უწესრიგობა და ა.შ. ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ მაშინ, 90-იან წლებში, ქვეყანა თავიდან იწყებდა განვითარებას. საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ენერგორესურსები, მყარი ვალუტა, ოქრო და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები... ვინ ვინ და, იმ დროის მთავრობის წევრებმა ძალიან კარგად ვიცით, რა პირობებში უხდებოდა ქვეყნის მეთაურსა და მის მთავრობას მუშაობა.

სწორედ ასეთ ვითარებაში შეძლო ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიოს წამყვან დასავლურ ქვეყნებთან მყარი ურთიერთობის დამყარება, რამაც, ფაქტობრივად, საქართველოს გადარჩენა განაპირობა.

ეჭვგარეშეა, რომ იმ მდგომარეობის ქვეყანაში ყველაფერი დაწყობილი და დალაგებული ვერ იქნებოდა. შეცდომებიც იქნა დაშვებული, მაგრამ იმის არდანახვა, რომ საქართველოს მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრაციის საქმეში ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ლომის წილი მიუძღვის, უმადურობა იქნებოდა.

**საქართველოს 1992-98 წლების მთავრობის წევრები:**
*ოთარ ფაცაცია, ვაჟა ლორთქიფანიძე, ნიკო ლეკიშვილი, ავთანდილ მარგიანი, ირაკლი მენაღარიშვილი, რომან გოცირიძე, მურთაზ ზანკალიანი, ფრიდონ ინჯია, თედო ნინიძე, ავთანდილ სილაგაძე, მიხეილ ჯიბუტი, ვლადიმერ პაპავა, იღუმენი ილია (სანდრო კავსაძე), გიორგი (ოთარ) კვესიტაძე, დავით გიგაური, ვალერიან ვაშაკიძე, თენგიზ გელეიშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი ქადაგიძე, რევაზ არველაძე, დავით იაკობიძე, ლევან ჯაფარიძე, ლერი გიგინეიშვილი*

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***

**11 ივლისი:** შესაძლოა, დღეს სიტყვაუხვი აღმოჩნდეთ. ფრთხილად იყავით, ლაზღანდარა ადამიანს პატივს არ სცემენ.

***კურო 22.04-21.05***

**11 ივლისი:** თქვენს მოქმედებებს დღეს ვერაფერი შეზღუდავს. თუ ვინმე მაინც შეეცდება, შეგიძლიათ „ერთ ადგილას“ გაუშვათ, ამის სრული უფლება გაქვთ.

***ტყუპები 22.05-21.06***

**11 ივლისი:** იმდენი ინფორმაცია მოგაწყდებათ, მათი გადამუშავება გაგიჭირდებათ. თანაც ამ პროცესის გადადება უაზრობაა, სიტუაცია უფრო დამძიმდება. ვიღაცა დაიხმარეთ.

***კირჩხიბი 22.06-22.07***

**11 ივლისი:** დღეს შემართული იქნებით ისეთი მიზნის მისაღწევად, რომლის არსიც, თქვენთვისაც კი ბოლომდე უცნობია. ამის მიუხედავად, თქვენგან საყვედური არ ასცდება არავის, ვინც თქვენს წარმატებაში ეჭვს შეიტანს.

***ლომი 23.07-22.08***

**11 ივლისი:** დღეს რაღაცის ხელში ჩაგდების შანსი მოგეცემათ. ეშმაკობა და ნებისმიერი ხერხის გამოყენება მოგიწევთ, რათა მიზანს მიაღწიოთ.

***ქალწული 23.08-22.09***

**11 ივლისი:** შემთხვევით წამოსროლილი სიტყვის უკან წასაღებად დრო გექნებათ. კარგად დაფიქრდით, ბოლო დროს ვინმეს ხომ არ აწყენინეთ და თუ გაიხსენებთ, ბოდიშის მოხდა არ დაიზაროთ.

***სასწორი 23.09-22.10***

**11 ივლისი:** ვითარების ბატონ-პატრონი იქნებით. თქვენ მიიღებთ სწორედ იმას, რაც გსურთ და მაშინ, როცა მოისურვებთ. შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ადამიანის პატივისცემა მოიპოვოთ.

***მორიელი 23.10-21.11***

**11 ივლისი:** მოერიდეთ ყველაფერს, რაც თქვენთვის გაურკვეველია, მით უმეტეს, უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას. დიდია ალბათობა, ვიღაცამ გაწყენინოთ.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***

**11 ივლისი:** დღეს ბევრი კითხვის დასმა მოგიწევთ. არ დაგავიწყდეთ, რომ სასურველი პასუხების მისაღებად საჭიროა კითხვის სწორად და გასაგებად ჩამოყალიბება.

***თხის რქა 22.12-19.01***

**11 ივლისი:** ეს დღე გაგაოცებთ. შეეცადეთ, ნებისმიერი სახის ურთიერთობებისთვის გახსნილი იყოთ და როგორც არ უნდა გინდოდეთ, სახლში არ გამოიკეტოთ.

***მერწყული 20.01-18.02***

**11 ივლისი:** შეეცადეთ, ისეთი მიგიღონ, როგორიც ხართ. ნუ შეცვლით საკუთარ თავში რამეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენში ვიღაცას რაღაცა არ მოსწონს.

***თევზები 19.02-20.03***

**11 ივლისი:** დღეს არ დაიჯეროთ არაფერი, რასაც საკუთარი თვალით არ ნახავთ. სხვის ნათქვამზე დასკვნის გამოტანა ისევე საშიშია, როგორც დოკუმენტზე ხელმოწერა, რომელშიც არ იცით, რა წერია.

# ჩინელმა ბიოლოგებმა ადამიანის სისხლი... ბრინჯისგან მიიღეს



საერთოდ, ცნობილი ფაქტია, რომ ჩინელები ბრინჯს უდიდეს პატივს სცემენ და ყველანაირ კერძს ამ პროდუქტს ატანენ: წვნიანსაც, ხორციანსაც და ლამის ბრინჯსაც ბრინჯთან ერთად მიირთმევენ ხოლმე, მაგრამ მისგან თუ ადამიანის სისხლსაც შექმნიდნენ, ამას ვერაფრით წარმოვიდგენდით.

როგორც ირკვევა, ჩინელმა ბიოლოგებმა ჩვეულებრივი ბრინჯი ცილების „ქარხნად“ გადააკეთეს და მისგან ალბუმინი, ადამიანის სისხლის მთავარი კომპონენტი მიიღეს. კერძოდ, შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომლის დახმარებითაც ბრინჯისგან ალბუმინის გამოცალკევებას ახერხებენ.

ალბუმინი – ეს არის სისხლის ძირითადი ცილა, რომელსაც ადამიანის ღვიძლი გამოიმუშავებს. ის ერთგვარი ტრანსპორტის თვისებებს ფლობს, რადგან ორგანოებამდე და ქსოვილებამდე ცხიმოვანი მჟავები და პრეპარატები მიჰყავს. ამ დროისთვის ალბუმინს, რომელიც სამედიცინო მიზნებისთვის გამოიყენება, ექიმები დონორთა სისხლისგან იღებენ.

რაც შეეხება ჩინელების მიღწევას, მათ ჩვეულებრივი ბრინჯის გენომში ადამიანის რამდენიმე გენი დაამატა, რომლებმაც მცენარეს ალბუმინის დაგროვება „ასწავლეს“, თანაც უდიდესი რაოდენობით.

საინტერესოა, რომ მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ადრეც ცდილობდნენ სხვადასხვა მცენარისგან, მიკროორგანიზმისგან და ცხოველისგან ალბუმინი მიეღოთ, თუმცა მათი ყველა მცდელობა კრახით სრულდებოდა ხოლმე. აი, ჩინელებმა კი არნახულ წარმატებას მიაღწიეს და ალბათ, უახლოეს მომავალში მათი ტექნოლოგიის გამოყენებას მთელი მსოფლიო დაიწყებს.

*tainamira.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



გამომძიებელს დასაკითხ ოთახში ეჭვმიტანილი უზის. რაღაც მომენტში ეჭვმიტანილმა სიგარეტს გაუკიდა.

– სიგარეტს ეწევი?

– კი, რა იყო?

– ნარკომანი ხარ?

– საიდან მოიტანე?

– იქიდან, რომ სიგარეტს მარიხუანისთვის იყენებენ ხოლმე. ასეთი ჩვევა ადამიანზე საკმაოდ ბევრ რამეზე მეტყველებს!

ეჭვმიტანილმა სკამთან ერთად გამომძიებლისგან უკან დაიხია.

– ეს რატომ გააკეთე?

– რატომ და გიყურებ და პირში კალამი რამდენჯერმე ჩაიდე... ასეთი ჩვევა ადამიანზე ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.07